ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი  ხუთშაბათი 15 აპრილი 2004 №83 (2102)  ფასი 50 თეთრი




ბაჩო კორინთელის ფოტო

## ბოსკამპი საქმეს ბოლნისში იწყებს

### თბილისის ლოკომოტივზე მონტე კარლოში ლაპარაკობენ

გუშინ მერაბ ჟორდანიამ და იოჰან ბოსკამპმა მოლაპარაკების პირველი რაუნდი გამართეს. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისა და ჰოლანდიელი მწვრთნელის საუბრები შაბათამდე გასტანს და შედეგიც მერელა გაცხადდება. თუ მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება, ბოსკამპი ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს და ერთ-ერთ ქართულ კლუბს ჩაიბარებს. მოკლედ, ბოსკამპი თბილისს შაბათს დატოვებს, ხოლო ორშაბათს არგენტინაში მიემგზავრება თავის საქმეებზე. თუმც ჰოლანდიელი არც ბოლნისზე ამბობს უარს — ხვალ ბოსკამპი ტურის უმთავრეს შეხვედრას, „სიონ" — „თბილისის" რკენას დაესწრება.

ვინაიდან ბოსკამპის სახელი ახალგაზრდული ნაკრების გარდა უმაღლესლიგელ კლუბსაც უკავშირდება, კლუბს, სადაც ინვესტორებად უცხოელები მიდიან და რომელსაც ხმამაღლა ჯერ არავინ ასახელებს, ითქვა ხან „ვიტ ჯორჯიაზე", ხან „სპარტაკზე" და ხან „თბილისზე", ბოლო დროს კი ბოსკამპის „დინამოში" დაბრუნებაზეც ალაპარაკდნენ. მით უფრო, რომ საამისო საფუძველი გაჩნდა: ჩემპიონებს ოთხი ტურია, ვერ მოუგიათ და ივო შუშაკს წყალი შეუდგაო, თანაც „დინამოში" ბოსკამპის მეგობარი გია გეგუჩაძე მუშაობს. ჰოლანდიელის ბოლნისურ მატჩზე დასწრებას კი ახალი ეჭვი მოჰყვა — ბოსკამპს „თბილისი" დაახვედრეს. ის არავის გახსენებია, რომ სწორედ „თბილისია" ის გუნდი, სადაც დღესდღეობით ახალგაზრდული ნაკრების ყველაზე მეტი კანდიდატი თამაშობს და ნაკრების მომავალ მწვრთნელს მომავალი შეგირდების ნახვის სურვილი ბუნებრივად უნდა გასჩენოდა.

გუშინვე შევიტყვეთ, რომ ჯერაც გასაიდუმლოებულ ინვესტორთა და კლუბის ვინაობა, ალბათ, მაისის ბოლოს გაირკვევა. 26 მაისს გელზენკირხენში ჩემპიონთა ლიგის ფინალია დანიშნული. მომავალი ინვესტორები, მთელი კომპანია, სწორედ გელზენკირხენში აპირებს შეკრებას და საბოლოო მოლაპარაკებებს გამართავს. იქამდე კი, მომავალ კვირას, ეს კომპანია მონტე კარლოში შეიკრიბება და „მონაკო" — „ჩელსის" შეხვედრას დაესწრება. სავარაუდოდ, ინვესტიციებზე ლაპარაკი მონტე კარლოშიც იქნება და ლაპარაკი იქნება, როგორც აქამდე ვწერდით, თბილისის „ლოკომოტივზე". შესაბამისად, როცა ბოსკამპის მომავალ კლუბზე მიდის მარჩიელობა, ლოგიკურია, რომ სხვებთან ერთად „ლოკომოტივიც" ვახსენოთ, მით უმეტეს, რომ ჰოლანდიელის ახალგაზრდულ ნაკრებში ჩამოყვანაც იმ ხალხს უკავშირდება, ვინც ქართულ კლუბში ინვესტორებად მოსვლას აპირებს. ინვესტორი, ალბათ, „მოსკვა ნაფტა" იქნება... ანაც, ამ კომპანიასთან დაახლოებული ხალხი.

**კობა ინასარიძე**

## დღეს მორაგბეები მესამედ შეიყრებიან. მთავარია, როგორ გაიყრებიან

დღეს ქართული რაგბის აწეწილი მელოდრამული საყოფაცხოვრებო სერიალის კიდევ ერთი სერია გათამაშდება. რაგბის მეთაურების საქმიანობით უკმაყოფილო კლუბები ამ ერთხელაც ეცდებიან ცივილიზებული გზით თავისი სიმართლის გატანას და უკვე მესამე ყრილობაზე შეეცდებიან წინამძღოლის შეცვლას. გავიხსენოთ, რომ პირველი ყრილობა 26 იანვარს ჩატარდა და მაშინ პრეზიდენტობის ორივე კანდიდატმა, ბიძინა გეგიძემ და მერაბ ანთაძემ 14-14 ხმა მიიღეს. გეგიძემ დროებით შეინარჩუნა პრეზიდენტის პოსტი. განმეორებით ყრილობაზე, 29 მარტს ოპოზიციამ კვორუმისთვის აუცილებელი ხმების ორი მესამედი ვერ მოაგროვა. მესამე ყრილობა კი დღესაა და აქ გეგიძის მოწინააღმდეგე ბანაკს ხმების ნახევარი ეყოფა.



ბაჩო კორინთელის ფოტო

დღეს ბიძინა გეგიძეს კიდევ ერთხელ შეერკინებიან

## სახელ გატარდნილები

„ინტერმა" „სან სიროზე" „მარსელთან" 0:1 წააგო და უეფას თასის გათამაშებას მეოთხედფინალში დაემშვიდობა. „ინტერის" შინ წაგება ერთ დროს სენსაციად ჩაითვლებოდა, მაგრამ ის დრო კარგა ხნის ჩავლილია და მილანელი „შავლურჯებისგან" ოდენ სახელიღა დარჩენილა.

სახელი და ამბიცია არც გლაზგოურ „სელტიკს" აკლია, მაგრამ გუშინ უსახელო და ევროთასზე პირველად მოთამაშე „ვილიარეალმა" ორი უპასუხო გოლით გაისტუმრა შოტლანდიაში, თავად კი ნახევარფინალში გაიკვალა გზა. ვილიარეალელებს სანახევარფინალო ოთხეულში თვისტომი ვალენსიელები და ბობი რობსონის „ნიუკასლი" შეუამხანაგდებიან თავში ნახსენებ „მარსელთან" ერთად.




REUTERS მიღებიან

ინტერი — მარსელი 0:1. სტივ მარლე და „მარსელი" ივან კორდობას და „ინტერს" ნახევარფინალში გაექცათ

## უეფას თასი 2003-2004

UEFA CUP მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. გუშინ UEFA CUP

*ვილიარეალი (ესპანეთი)* 2:0 სელტიკი (შოტლანდია) (1:1)
1:0 ს. ანდერსონი (6), 2:0 როხერი (68)

ინტერი (იტალია) 0:1 *მარსელი (საფრანგეთი)* (0:1)
0:1 მერიემი (74)

*ნიუკასლი (ინგლისი)* 2:1 პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) (1:1)
1:0 შირერი (9), 1:1 კეჟმანი (52პ), 2:1 სპიდი (66)

*ვალენსია (ესპანეთი)* 2:1 ბორდო (საფრანგეთი) (2:1)
1:0 პელეგრინო (52), 2:0 რუფეტე (60), 2:1 ედუარდო კოსტა (72)

## ნახევარფინალი

ნიუკასლი — მარსელი

ვილიარეალი — ვალენსია

პირველი მატჩები — 22 აპრილი. საპასუხო მატჩები — 6 მაისი



ჟოზე ანიგომ და მისმა „მარსელმა“ მილანი თავაწეულებმა დატოვეს

### ინგლისი
კონფერენსლიგა
გადადებული მატჩი
ტელფორდი 2:1 სკარბორო

### შოტლანდია
პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
ლივინგსტონი 1:1 რეინჯერსი

### გერმანია
სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი
ბაიერნი (მ) 0:2 კიკერსი

### ესპანეთი
პრიმერადივიზიონი
გადადებული მატჩი
ბეტისი 1:1 ბარსელონა

### პორტუგალია
სუპერლიგა
გადადებული მატჩი
ნასიონალი 0:0 პორტუ

### ავსტრია
მაქსბუნდესლიგა
XXX ტური
ბრეგენცი 1:1 პაშინგი
კერნტენი 0:0 გრაცერი
მატერსბურგი 3:0 ადმირა
შტურმი 1:2 რაპიდი
აუსტრია 3:0 ზალცბურგი

### სერბეთი
პრვა ლიგა. XXV ტური
ბუდუჩნოსტი 2:1 კომი
ჰაიდუკი 1:1 ოფკ
რადნიჩკი 0:0 ბორაცი
სარტიდი 1:0 ვოივოდინა
ზემუნი 0:1 ჟელეზნიკი
ზეტა 1:2 პარტიზანი
ნაპრედაკი 2:1 სუტიესკა

### ჩეხეთი
თასის მეოთხედფინალი
*ბანიკი* 1:0 ბრნო
*ლიბერეცი* 2:0 ბლშანი

### პოლონეთი
თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
*ლეხი* 4:2 კატოვიცე (2:1)

### უნგრეთი
თასის ნახევარფინალი
*კიშპეშტი* 2:1 ზალაეგერსეგი
ვაშაში 1:2 *ფერენცვაროში*

### სლოვენია
სი მობილ ლიგა. XXIV ტური
მურა 1:0 პრიმორიე
კოპერი 1:0 მარიბორი
დრავა 0:3 ლიუბლიანა
პუბლიკუმი 2:1 შმარტნო
ნოვა გორიცა 1:0 ოლიმპია
დრავოგრადი 0:2 დომზალე

### არგენტინა
კლაუსურა
გადადებული მატჩი
ჩაკარიტა 0:2 ბოკა ხუნიორსი

### იაპონია
ჯეი ლიგა. V ტური
კობე 1:1 ვერდი
ტოკიო 1:1 სერეზო
გამბა 2:2 იჩიჰარა
კაშიმა 2:2 ნიიგატა
კაშივა 1:3 ივატა
ოიტა 1:1 იოკოჰამა
ჰიროშიმა 1:1 ნაგოია
შიმიცუ 4:3 ურავა

### რუსეთი
თასის მეოთხედფინალი
პირველი მატჩები
როტორი 2:0 ტერეკი
კრილია 2:1 ცსკა
როსტოვი 0:3 ტ. მეტალურგი
შინიკი 3:0 ლოკომოტივი

### ხორვატია
თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩები
*ვარტეძსი* 5:1 ციბალია (3:1)
რიეკა 1:0 *დინამო* (2:4)

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს პირველი ლიგა 15 ჩემპიონატი მეორე წრე 21 ტური





გიორგი ჩიხრაძის სამწვრთნელო დებიუტი და პირველი სამწვრთნელო გოლი

# თამაში ამერული, ტაში იმერული

**პაატა კვანტალიანი** საჩხერიდან

საჩხერე. 14 აპრილი. 16 საათი. ცენტრალური 600 მაყურებელი

## ჩიხურა 0:2 ამერი

0:1 ვერემჩუკი (57), 0:2 კაიდარაშვილი (88)

ჩიხურა: გუგუნავა, ო. ჭილაძე, გუჯაბიძე, რ. გოგოლაძე, გოგინაშვილი, ილურიძე (ამბიძე 77), მაზანაშვილი, შუკაკიძე, ჩხაიძე (ზაბახიძე 63), გოდერძიშვილი, კ. გოგოლაძე (მწყერაშვილი 63)
მწვრთნელი: სპარტაკ არჩვაძე

ამერი: ასლანაძე, კედელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, გარუჩავა, განუგრავა, ვერემჩუკი, ხუბუა, სილაგავა, რუსია (გოცირიძე 90), კაიდარაშვილი (წინამძღვრიშვილი 90)
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: მაზანაშვილი (4), განუგრავა (58), ზაბახიძე (68), მწყერაშვილი (89)

მსაჯები: ს. კვარაცხელია; ზ. ერქვანია, ბ. ცირდავა; გ. კიკაჩეიშვილი

პირველ ვარჯიშზე რომ მივდიოდი, მაშინ ვნერვიულობდი, ახლა კი მხოლოდ ერთი სურვილი მაქვს — მოგების სურვილი. ვფიქრობ, ჩემი განწყობა ბიჭებსაც გადავეცი, ამიტომაც მჯერა, დღეს ჩვენ მოვიგებთ — ეს თქვა სამწვრთნელო დებიუტამდე ნახევარი საათით ადრე „ამერის“ ახალმა თავკაცმა გიორგი ჩიხრაძემ.

თქვა და გამარჯვებით დაიწყო. „ამერმა“ ჩემპიონატში თავისი ერთ-ერთი საუკეთესო თამაში აჩვენა ზემოიმერულ ექვსასკაციან აუდიტორიას და ნამატჩევს საჩხერელთა ტაშიც დაიმსახურა.

გოჩა გუჯაბიძე, გია ჩხაიძე, დავით გოდერძიშვილი, კახა მაზანაშვილი, კახა გოგოლაძე — ეროვნულ ჩემპიონატში ჭიპმოჭრილი ხალხი დაახვედრა გამოცდილმა სპარტაკ არჩვაძემ „ამერს“ და ამის გათვალისწინებით საფიქრებელი იყო, რომ გიორგი ჩიხრაძეს არცთუ სახარბიელო ვითარება ჰქონდა დებიუტის წინ.

თანაც „ჩიხურამ“ პირველ წრეში 2:0 დაამარცხა „ამერი“ და, ბუნებრივია. მეტოქის მსგავსად უმაღლესი ლიგის შემყურე საშინაო მატჩის სათავისოდ დამთავრებაზე ფიქრობდა. მოკლედ, მასპინძელს გამარჯვებისთვის გვარიანი მოტივაცია ჰქონდა, თამაშიც საჩხერელ ქომაგთა იმედიანი შეძახილებით დაიწყო, მაგრამ დრო გადიოდა და ტრიბუნებს უკმაყოფილება ემატებოდა. ამის მიზეზი „ამერის“ გააზრებული და სწორი თამაში გახლდათ. გაუკრეჭავ მოედანზე ჩიხრაძის გუნდმა დამაჯერებლად აგორა ბურთი. „ამერს“ გუშინ ჰქონდა ის, რაც აქამდე აკლდა: აგრესია და მონდომება. სწორედ ამან განაპირობა თბილისელთა გუნდურობა და მატჩის მნახველი, თუ კი ცოტათი მაინც ობიექტური იქნებოდა, მშვიდად უნდა დალოდებოდა ამერელთა გოლს.

მასპინძელთა გამოცდილი ფორვარდები პრაქტიკულად არც გაიკარეს სტუმართა მცველებმა და ამაში ლომის წილი მუხლჩაუხრელმა ამირან კედელაშვილმა დაიდო. გამართულად ითამაშა წინა ხაზმაც. „ამერმა“ იმდენი საგოლე მომენტი შექმნა, ბოლო ორ მატჩში ერთად რომ არ ჰქონია. მოულოდნელად იმუშავა ალექსანდრე კაიდარაშვილმა, შეტევების ორგანიზატორი რომ იყო და ალალადაც დაიმსახურა მატჩის მიწურულს გატანილი ეფექტური გოლი. კაიდარაშვილის პირველი ოფიციალური ამერული გოლი მართლაც შთამბეჭდავი გამოდგა — ალეკომ ვერემჩუკის პასისას ერთი მოძრაობით ჩამოიშორა მეურვე და საჯარიმოს კუთხესთან არმისულმა ლამაზად აჭრა ბურთი კარის შორეული კუთხისკენ — ჩიხურელთაგან საუკეთესოს, მეკარე გუგუნავას თავგანწირული ნახტომი ამაო გამოდგა. მანამდე კი ვერემჩუკის ჭკვიანური საჯარიმო დარტყმა იყო. ამერელთა მეგოლემ „ცოცხალ კედელში“ მასპინძელთა დაბნეულობით ისარგებლა და დაბალ კუთხეში დაარტყა. ამ გოლით გამოხატა „ამერმა“ ის დიდი უპირატესობა, რასაც მანამდე ფლობდა და რაც მატჩის ბოლომდე არც დაუკარგავს.

უნდა ითქვას, რომ მონდომებულად ათამაშებული გუნდი ვერემჩუკის გოლის შემდეგ ჩიხრაძემ ანგარიშის შენარჩუნებაზე არ გადააწყო და აკი შედეგად ამერელები მატჩის მიწურულს საბოლოოდ გაუსწორდნენ მეტოქეს.



ალექსანდრე კაიდარაშვილმა (მარჯვნივ) ამერული გოლების ანგარიში გახსნა

ვიტ ჯორჯია აღხ. 0:1 გურია

მილანი 1:1 ქობულეთი

სამგურალი 3:0 ივერია

ოლიმპი 2:0 ლუკა

დინამო 2 8:0 ლოკომოტივი 2

რუსთავი 2:1 თსუ

მეტალურგი 0:3 ცხინვალი
*მეტალურგი არ გამოცხადდა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქობულეთი | 21 | 13 | 2 | 6 | 38:20 | 41 |
| სამგურალი | 21 | 12 | 5 | 4 | 29:12 | 41 |
| ოლიმპი | 21 | 11 | 5 | 5 | 30:19 | 38 |
| დინამო 2 | 21 | 11 | 4 | 6 | 51:26 | 37 |
| რუსთავი | 21 | 11 | 3 | 7 | 29:23 | 36 |
| მილანი | 21 | 10 | 5 | 6 | 24:15 | 35 |
| ცხინვალი | 21 | 10 | 5 | 6 | 33:17 | 35 |
| ამერი | 21 | 9 | 6 | 6 | 25:18 | 33 |
| ჩიხურა | 21 | 9 | 3 | 9 | 24:23 | 30 |
| ვიტ ჯორჯია-მცხ. | 21 | 7 | 8 | 6 | 21:16 | 29 |
| გურია | 21 | 8 | 4 | 9 | 25:28 | 28 |
| თსუ | 21 | 7 | 6 | 8 | 33:23 | 27 |
| ივერია | 21 | 7 | 5 | 9 | 16:30 | 26 |
| ლოკომოტივი 2 | 21 | 6 | 1 | 14 | 14:45 | 19 |
| ლუკა | 21 | 4 | 1 | 16 | 15:41 | 13 |
| მეტალურგი | 21 | 1 | 1 | 19 | 9:60 | 4 |

# მე ჩემი უკვე ვთქვი

*საქართველოში იოჰან ბოსკამპის მეორედ მოსვლაა — ჰოლანდიელს რომ ახალგაზრდულ ნაკრებს და, ალბათ, ერთ-ერთ ქართულ კლუბს ჩააბარებენ, ადრეც გაუწყეთ, გუშინ კი ბოსკამპი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას შეხვდა. ჟორდანიას კაბინეტში მოლაპარაკებამ რამდენიმე საათს გასტანა, მერე კი ფედერაციიდან გამოსულ ბოსკამპს გამოველაპარაკეთ*



— რაზე ისაუბრეთ ჟორდანიასთან?

— ჩვენ იმ პროგრამაზე ვისაუბრეთ, რომელზეც ერთად უნდა ვიმუშაოთ. თუ მე საქმეს ხელი მოვკიდე და ახალგაზრდული ნაკრები ჩავიბარე, მწვრთნელთა დანიშვნა და სხვა ყველა საკითხი მე უნდა გადავწყვიტო.

**— კონტრაქტი თქვენსა და ფედერაციას შორის როდის გაფორმდება?**

— მე ჯერ კონტრაქტს ხელს არ ვაწერ.

**— საბოლოო გადაწყვეტილებას როდის მიიღებთ?**

— იმედია, ეს შაბათისთვის მოხდება, როცა თბილისს დავტოვებ. მე ჩემი ვთქვი და ახლა ვნახოთ, რა როგორ იქნება.

**— რომელ ქართულ კლუბს გაწვრთნით? უკვე მიიღეთ კონკრეტული შეთავაზება?**

— შეთავაზება მივიღე და პასუხს შაბათს ვიტყვი.

**— პარასკევს საქართველოს ჩემპიონატის რომელიმე მატჩს არ დაესწრებით?**

— როგორ არა, ახალგაზრდა ფეხბურთელების ნახვა მაინტერესებს.

**— საქართველოში ხუთი წელი არ ყოფილხართ**

**— როგორია პირველი შთაბეჭდილებები?**

— ფედერაციას მშვენიერი ოფისი აუშენებია. შევხვდი ძველ ნაცნობებს, რაც ძალიან სასიამოვნო იყო.

# კაცი, რომელიც არ მუშაობს

## ხანდახან ქედმაღალი ვარ, მაგრამ პინგ-პონგს არ ვთამაშობ

*მერაბ ჟორდანიასთან შეხვედრის შემდეგ იოჰან ბოსკამპი „შევარდენის" სტადიონზე ნავიდა პირველლიგური მატჩის „ოლიმპი" — „ლუკას" სანახავად, სადაც მას არაკონიუნქტურული, ზოგადი ინტერვიუ ვთხოვეთ. თუმც ბოსკამპს კონკრეტული საუბარიც უყვარს და, როგორც თვითონ ირწმუნება, სათქმელს გულში არ იტოვებს.*

— თქვენ შესაძლოა, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად დაინიშნოთ — საქართველოს დარ ქვეყნებში რა არის მთავარი ფაქტორი ფეხბურთელის აღზრდაში?

— უცხოეთში წასვლა, რადგან თქვენი ეროვნული ჩემპიონატი მაღალი დონის არაა, მაგრამ მანამდე ახალგაზრდებმა ის პატარ-პატარა საფეხბურთო ელემენტები უნდა აითვისონ, რაც ევროპაში წასასვლელად აუცილებელია.

— როცა თქვენ საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი იყავით, გუნდს რისკიან, ავანტიურულ ფეხბურთს ათამაშებდით — თუ ახალგაზრდულ ნაკრებს ჩაიბარებთ, იმავე სტილში მოსთხოვთ თამაშს?

— რატომ უნდა შევცვალო ასეთი სტილი?! დაცვითი ფეხბურთი უფრო ადვილია, ვიდრე შეტევა. ფეხბურთის თამაში იმას ნიშნავს, რომ გოლი გაიტანო. ხოლო თუ იმიტომ თამაშობ, რომ არ წააგო, მაშინ უნდა წახვიდე და პინგ-პონგი ითამაშო. რაც შეეხება რისკს, როცა საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ვწვრთნიდი, ზურაბ ხიზანიშვილი ძირითადში დავაყენე და ამაზე ბევრს ეცინებოდა, მაგრამ ზურა დღეს „რეინჯერსში" თამაშობს. მაღალ დონეს რომ შესწვდე, რისკის გარდა მოთმინებაცაა საჭირო.

— ქართველი ფეხბურთელებიდან ვინ მიგაჩნიათ ყველაზე ნიჭიერ მოთამაშედ, ისეთად, შემსრულებელს რომ უწოდებენ?

— შოთა არველაძე და ლევან კობიაშვილი. შესაძლოა, ისინი საუკეთესონი არ არიან, მაგრამ რასაც ფეხბურთში შესრულება ჰქვია, ეს ყველაზე უფრო მათზე ითქმის.

— თქვენეული სათამაშო სტილისთვის ასეთი ფეხბურთელები უფრო მნიშვნელოვანნი არიან თუ, ასე ვთქვათ, მუშა მოთამაშეები?

— მნიშვნელოვანი ბალანსია, რადგან გუნდი თერთმეტი კაცისგან შედგება და მას მუშა ფეხბურთელებიც სჭირდება. მაგრამ ოსტატურად მოთამაშე ფეხბურთელს ერთი მოქმედებითაც ძალუძს თამაშში გარდატეხის შეტანა.

— თანამემამულეთაგან ვინ მიგაჩნიათ საუკეთესოდ ამ კრიტერიუმით?

— აიან რობენი.

— ჰოლანდიის საუკეთესო ფორვარდად ვის დაასახელებდით?

— რუდ ვან ნისტელროის და როი მაკაის, ვიტყოდი ჯიმი ჰასელბაინკსაც, მაგრამ ის ეროვნულ ნაკრებში არ თამაშობს. ჰოლანდიის ჩემპიონატში კი საუკეთესოა შვედი ზლატან იბრაგიმოვიჩი — ის ფანტასტიკური ფორვარდია.

— ტვენტელ გოგა გახოკიძეზე რას იტყოდით?

— მისი წინსვლა უეჭველია.

— თქვენ ფლამანდიელი ხართ, ჩვენ კი სამხრეთული მენტალიტეტის ხალხი — ეს ხელს არ გიშლიდათ და არ შეგიშლით ქართულ გუნდებში სამუშაოდ?

— ეს არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. რაც შეეხება ჩვენს მენტალიტეტს, ხანდახან ქედმაღლები ვართ, გვგონია, რომ ყველაფერი ყველაზე კარგად ჩვენ ვიცით, მაგრამ ჩვენ ყოველთვის გახსნილები ვართ და იმას ვლაპარაკობთ, რასაც ვფიქრობთ, არაფერს ვმალავთ. ქართველებთან კი ერთადერთი პრობლემა მაშინ შემექმნა, როცა ზაზა ჯანაშია ნაკრებიდან დავითხოვე — გუნდი ერთიანი ორგანიზმია და მას არავინ არ უნდა გამოეყოს.

— თუ თქვენ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი გახდებით, ეს თქვენთვის დიდი გამოწვევა იქნება?

— არა, ეს ჩემთვის საერთოდ არ იქნება გამოწვევა.

— აბა, რა იქნება?

— ჩემთვის გამოწვევა ის იქნება, რომ ეროვნულ ნაკრებს ფეხბურთელი მოვუმზადო. როცა ახალგაზრდებთან მუშაობ, მთავარი შედეგი არაა, მთავარია, შენი გაწვრთნილი გუნდიდან ორი ფეხბურთელი მაინც დაწინაურდეს და უმაღლეს დონეზე ითამაშოს.

— საქართველოს ეროვნულ ნაკრებს თავისი რესურსებით შეუძლია მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა?

— რა თქმა უნდა, შეუძლია.

— ესე იგი, გერმანია 2006-სთვის მზად ვართ?

— მე ასე არ მითქვამს, მე ვთქვი, რომ თქვენს ნაკრებს ეს სამომავლოდ შეუძლია. თუმცა, ეს უკვე ეროვნული ნაკრების მწვრთნელის პრობლემაა. მაგრამ ის კი ნაღდია, რომ თქვენ კარგი გუნდი გყავთ.

— თქვენ გულის ოპერაცია გადაიტანეთ — კიდევ რამდენ ხანს აპირებთ მწვრთნელობას?

— ნორმალური იქნებოდა, რომ ოპერაციის შემდეგ პენსიაზე გავსულიყავი. მაგრამ ასე არ მოხდა და მწვრთნელობისთვის თავის დანებებაზე ალბათ ათი წლის შემდეგ ვიფიქრებ. ახლა კი მთავარი ისაა, რომ თავს ძალიან კარგად, ჯანმრთელად ვგრძნობ.

— ფეხბურთი თქვენთვის სამუშაო და ვნებაა?

— მე არასდროს არ ვმუშაობ, მე უბრალოდ ვაკეთებ იმას, რაც მომწონს. ყველაფერს ფეხბურთის თამაში სჯობს, მერე კი მწვრთნელობა. ფეხბურთის გარდა სხვა ჰობი არც მაქვს.

— ვინ იყო თქვენი კერპი ბავშვობაში?

— ფეიენოორდელი კვენ მულინი.

**დავით თავართქილაძე**



ეს ის წუთია, ბოსკამპმა რომ ზაზა ჯანაშია ნაკრებიდან დაითხოვა

*მილანელ კახა კალაძეს წლევანდელი სეზონი რომ ჩაუვარდა, ფაქტია. სულ რაღაც ექვსი მატჩი — ოთხი სერია A-ში და ორიც იტალიის თასზე — დაგვეთანხმებით, მისი დონის ფეხბურთელისთვის ცოტაა.*

*საქართველოს ნაკრების დაცვის ბურჯი და ქვეყნის ზედიზედ სამგზის საუკეთესო ფეხბურთელი უთამაშებლობას მძაფრად რომ განიცდის, ესეც ფაქტია.*

*კალაძეს გუშინ დავურეკეთ და, „გაძეტა დელო სპორტმა" რომ დაწერა, კახამ ფილიპო ინძაგისთან ერთად დაიწყო ვარჯიშიო, ტყუილი გამოდგა...*

# კახა კალაძე სილვიო ბერლუსკონიმ მოიკითხა

## ჟურნალისტებმა კი გადაიყვანეს და გადმოიყვანეს



— ვარჯიში დღეს, სირბილით განვაახლე, თავს ნორმალურად ვგრძნობ.

**— ინძაგისთან ერთად ივარჯიშაო, დაიწერა...**

— არა, მარტომ ვირბინე. პიპოს უმნიშვნელო ტრავმა ჰქონდა და ახლა გუნდთან ერთად „სიენასთან" შაბათის მატჩისთვის ემზადება.

**— გეტყობა, მაინც უხასიათოდ ხარ...**

— უთამაშებლობას ძალიან განვიცდი. ყველასი მერიდება, გალიანის, ანჩელოტის, ბიჭების. ეს წყეული ტრავმა ვერაფრით მოვიშორე, მგონია, უკეთ ვარ და ტკივილი თავს შემახსენებს. მათაც რა უნდა ქნან, ყველანაირად გვერდში მიდგანან, მამხნევებენ. ამასწინათ სილვიო ბერლუსკონიმ დამირეკა, როგორ ხარო, მკითხა. რა უნდა მეთქვა?

**— შენს დღეში მყოფისთვის მხარდაჭერა პატარა საქმე არ არის...**

— ჰოდა, იმედიც მომეცა. ერთი სული მაქვს ეს სეზონი როგორმე ჩამთავრდეს, მერე ტრავმასაც საბოლოოდ მოვიშუშებ და ძირითადსაც დავუბრუნდები.

**— კარლო ანჩელოტიმ ახლახან თქვა, „დეპორტივოსთან" კალაძისნაირი ჯანიანი მოთამაშე რომ მყოლოდა, ფიზიკურად ვერ დაგვჯაბნიდნენო.**

— მწვრთნელია და თავისი სათქმელი თვითონ იცის. ისე კი, ანჩელოტის, უთამაშებლობის მიუხედავად, ყოველდღე ვნახულობ და მამხნევებს. ასევეა ადრიანო გალიანიც.

**— „დეპორტივო" ვახსენეთ. რა მოხდა ლა კორუნიაში?**

— საშინელება, შოკი. პირველი მატჩი 4:1 მოვიგეთ და ვინ იფიქრებდა, 0:4 თუ წავაგებდით. სხვა თუ არაფერი, „მილანია". ვფიქრობ, მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი დაცვა გვყავს და ამ დროს...

**— და მაინც, რას ფიქრობ, წაგების მიზეზი რა იყო, მწვრთნელის მცდარი ტაქტიკა თუ?..**

— თამაში ყველამ წააგო, მაგრამ მე მიზეზად გადაღლილობას ვიტყოდი. ძალიან ძნელია მთელი სეზონის მანძილზე კვირაში ორჯერ უცვლელი შემადგენლობით თამაში.

**— ჩემპიონთა ლიგა დასრულდა. სკუდეტოსთვის ბრძოლა?**

— ჯერ კიდევ ადრეა, ხუთი ტური დარჩენილი და გარკვეული არაფერია.

**— ბოლოს, „ემპოლისთან" გაჭირვებით, პირლოს პენალტით მოიგეთ.**

— მთავარი ისაა, რომ მოვიგეთ.

**— ბევრი დაიწერა და ითქვა, მსაჯმა ტომასონის წაქცევისას პენალტი მოიგონაო...**

— აქაური ჟურნალისტები რასაც უნდათ და როგორც უნდათ, ისე წერენ. ტომასონის წაქცევაზე რომ ალაპარაკდნენ, მანამდე შევჩენკო რომ ლამის გადათელეს საჯარიმოში, იმაზე არაფერი უთქვამთ. ეგეთი პოლემიკა აქ ყოველთვის იყო და იქნება.

**— „მილანის" სამომავლო სატრანსფერო გეგმებზე ბევრი იწერება: ახლახან „ლეჩეს" ურუგვაელ ფორვარდ ხავიერ ჩევანტონთან გამართეს მოლაპარაკებებიო.**

— მეცინება ამ ცნობაზე. კარგი, ვთქვათ, გადმოვიდა ჩევანტონი, რისთვის, სკამზე რომ დაჯდეს? დონით და გამოცდილებით შევჩენკოს აჯობებს, ინძაგის თუ ტომასონს?! აქაურ ჟურნალისტებს რომ ჰკითხო, მე ხან „ბაიერნში" გადავდივარ, ხან მადრიდის „რეალში" და ხანაც „ბარსელონაში". „მილანში" თავს კარგად ვგრძნობ და რამდენიმე დღის წინ ადრიანო გალიანიმ სწორედ მედიის გასაგონად კატეგორიულად განაცხადა, სპეკულაციებს შეეშვით, გუნდის ლიდერებს არ ვყიდითო.

**გიორგი ვაშაკიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუ უკბენთ ძაღლს

## პირიქითა ამბები შუშაკის შეძახილით: სულელი ხომ არ ვარ, გავჩუმდე?!



*ივო შუშაკმა ჩამოსვლის დღიდან უშუალო და გულწრფელი ურთიერთობა დაამყარა ჟურნალისტებთან. მის მიმართ მასმედიის ინტერესი ყოველთვის დიდი იყო, ბოლოხანს კი განსაკუთრებული. 31 მაისს ხორვატს „დინამოსთან“ კონტრაქტის ვადა ეწურება, ამასობაში კი მის ვადამდე გაშვებაზე აგორდა ხმები. კონტრაქტის გაგრძელებაზე, ფაქტობრივად, სიტყვაც არ თქმულა.*

*გუშინ შუშაკმა ჟურნალისტებს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე უხმო და მათთან საუბარი არაფორმალურ სიტუაციაში, საკუთარ სამუშაო ოთახში ირჩია. მას კარტები ბოლომდე არ გაუხსნია, თუმცა კლუბში შექმნილ სიტუაციაზე მოფიქრალი ადამიანი დასკვნებს მისი დელიკატური საუბრიდანაც გააკეთებს*

...რადგან ჟურნალისტები ჩემით ინტერესდებით, ესე იგი, ჯერ კიდევ აქტუალური ვარ, გადავწყვიტე, უშუალო და არაოფიციალურ გარემოში შეგხვედროდით.

...გუნდში ახალი და საკვირველი არაფერი ხდება. როცა ძაღლი კაცს კბენს, საოცარი ამაში არაფერია. გასაკვირი ის არის, კაცი ძაღლს რომ უკბენს. სანამ „დინამო“ იგებდა და ნორმალურადაც თამაშობდა, მაშინ გაცილებით ნაკლებ ინტერესს ვგრძნობდი. ალბათ ეს ასეც უნდა იყოს. ჩვენი ჩავარდნა გეგმური გზიდან გადახვევას მოჰყვა. სხვათა შორის, მე პირველმა ვიწინასწარმეტყველე ჩავარდნის პერსპექტივა და ჩემი ეჭვები ხელმძღვანელობასაც გავანდე. არ მინდა, წარსულს დავუბრუნდე, მაგრამ ის გუნდი, რომელიც საშემოდგომო ეტაპზე თამაშობდა, ამჟამინდელს სჯობდა. მართალია, ბიჭებმა სეზონი მაინც გამარჯვების ჟინით დაიწყეს, მაგრამ „ლოკომოტივთან“ მოსაგები ვერ მოვიგეთ და ამის მერე დაიწყო უიღბლობისა თუ შეცდომების ჯაჭვური რეაქცია. შედეგად ფეხბურთელებმაც თავდაჯერება დაკარგეს. შეცდომები კონკრეტულ მატჩებში დაცვასაც ჰქონდა და თავდასხმასაც. „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩის შემდეგ ბიჭებს ველაპარაკე. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ შეცდომების გამოსწორების შანსი კიდევ არსებობს. ჩემს ფეხბურთელებს სჯერათ, რომ ვითარების სასიკეთოდ შეცვლა შეუძლიათ. გორის „დილასთან“ მატჩი იქნება დასასრული ჩვენი ცუდი სტარტისა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და ამჟამად სხვა არაფერზე ვფიქრობ, გარდა ჩემპიონატში „დინამოს“ რეგრესის შეჩერებისა.

...ფეხბურთელები საკმაოდ მოტივირებულნი არიან, ძალიან მახარებს, რომ თითოეულ მათგანს სურს ჩემპიონობაც და თასის აღებაც. ამიტომ ჩვენს ჩავარდნას ფეხბურთელთა მხრიდან მოტივაციის დაკარგვას ვერ დავაბრალებ.

...შედეგს ინერციით ვერ მიაღწევ. ჩვენმა გუნდმა დაკარგა ხუთი წამყვანი ფეხბურთელი და მათთან ერთად საკუთარი თამაშიც. ვინც ახლა „დინამოშია“, ძირითად ბირთვთან ერთად შეკრებაც არ გაუვლია, გუნდის შეთამაშებას საკმაოდ ხანგრძლივი დრო სჭირდება.

...აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ჩემმა განცხადებამ მსაჯებთან დაკავშირებით. „თბილისთან“ მატჩში პენალტის კლასიკური მაგალითი იყო. თუ მსაჯი ხელით თამაშის ფაქტს აფიქსირებს და პენალტს ნიშნავს, მაშინ მოთამაშე უნდა გააძევოს კიდეც. შემდეგ აშკარა პენალტი არ ინიშნება. მოკლედ, საჭიროდ ჩავთვალე რეაგირება მომეხდინა მსაჯის გადაწყვეტილებებზე, რომელმაც გავლენა იქონია შედეგზე — სულელი ხომ არ ვარ გავჩუმდე?! ჩვენს საწინააღმდეგოდ ადრეც შემცდარან, მაგრამ ვთვლიდი, რომ ეს შეგნებულად არ კეთდებოდა. არ მინდა, მსაჯებზე ეჭვი მქონდეს, მაგრამ ვგრძნობ, მათი სიმპათია ვერ დავიმსახურეთ. თუმცა არც ის მინდა იფიქროთ, თითქოს წარუმატებელ სტარტს მთლიანად მსაჯებს ვაბრალებდე.

... ჩემზე ზეწოლას პირველ რიგში საკუთარი თავისგან ვგრძნობ. ყველგან, სადაც მიმუშავია, ჩემს საქმეს ბოლომდე ვაკეთებდი. საქართველოში ჩამოსვლის დღიდან მსურდა ბოლომდე ჩავწვდომოდი აქაურ ფეხბურთს. თუმცა ახლა ზეწოლას არა მარტო ჩემზე, არამედ ჩემს ფეხბურთელებზეც ვგრძნობ. კრიტიკას ყოველთვის ნორმალურად ვეკიდებოდი, თუმცა მინდა, შედეგი დაინახონ. ცუდია, როცა ამდენ ნაჯაფს წყალში გიყრიან. შემთხვევითი არ იყო წარმატებების სერიები, ფეხბურთელების წინსვლა. ერთი და ორი ცუდი შედეგით მთლიანად მუშაობაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. არავის მივცემ უფლებას, განვლილი ორი წლის ნალვაწი წყალში ჩაგვიყაროს.

...ბათუმში სათასო მატჩამდე ველაპარაკე მმართველ დირექტორს და ორივე ერთ აზრამდე მივედით — შედეგი უნდა გამოსწორდეს. ალბათ ამით ყველანი ვართ დაინტერესებული. „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩის შემდეგ პეტრიაშვილთან აღარ მილაპარაკია. უბრალოდ, ერთმანეთს აღდგომის დღესასწაული მივულოცეთ.

...სამწუხაროდ, მე არ ვმონაწილეობდი კლუბის სტრატეგიული გეგმის შედგენაში. კარგი იყო თუ არა ეს, ამას მომავალი გვიჩვენებს.

...ჩვენ სერიოზული შევსება არ მიგვიღია. ვხვდებოდი, რომ დიდ მიზნებს ვერ მივაღწევდით. თუმცა „ტირანასთან“ გამოვარდნას ნამდვილად არ ველოდი. ჩავთვალე, ეს სეზონი იქნებოდა მოსამზადებელი პერიოდი, რათა გუნდი კიდევ უფრო გაძლიერებულიყო. არაერთხელ მითქვამს, რომ ჩვენ სერიოზული გეგმების განსახორციელებლად ძლიერი ფეხბურთელების დამატება გვჭირდებოდა. სამწუხაროდ, პირიქით მოხდა — ძლიერებმა დატოვეს ჩვენი გუნდი.

...პრემიები აუცილებელია. პროფესიულ კლუბში ფინანსური სტიმულაცია ნორმალურ ფორმად ითვლება. ჩემი აზრი კლუბის გენერალურ სტრატეგიაში ნაწილობრივ გაითვალისწინეს. მე კი გავლენას ვერ ვახდენდი, უბრალოდ, მხოლოდ აზრის გამოთქმა შემეძლო. გუნდის საქმიანობის სტრუქტურას კარგად არ ვიცნობდი, თორემ სანამ კონტრაქტს ხელს მოვაწერდი, ამ პუნქტებსაც აუცილებლად შევიტანდი. ახლა კი ეს წვრილმანებიც ამოტივტივდება ხოლმე.

...არ ვიცი, ვის უნდა აძლევდეს ხელს „დინამოს“ წინააღმდეგ მოქმედება. თუმცა ვიცი, რომ არის ასეთი ხალხიც. ჩემი პირადი ინტერესები არასოდეს დამიყენია საქმეზე წინ.

...კონტრაქტზე ხელის მოწერა ხვალვე შემიძლია, ოღონდ არა „დინამოსთან“. ახლა მე ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ მოვუგოთ „დილას“. მომავლის პროგრამა და სტრატეგია კი კლუბს ახლავე უნდა ჰქონდეს შემუშავებული. მთავარ მწვრთნელს ამაში მთავარი როლი ეკისრება, მაგრამ ეს ჩემი პრობლემა აღარაა. როგორც გითხარით, მომავალზე ნამდვილად არ ვფიქრობ. მთლიანად ამჟამინდელ საქმიანობაზე ვარ კონცენტრირებული.

**დავით ერაძე**

*„დინამოში“ რომ ყველაფერი რიგზე ვერ არის, ნათელია. არცთუ უსაფუძვლო ხმების გარდა კლუბის რეგრესზე სატურნირო ცხრილი და ოთხმატჩიანი მოუგებელი სერიაც მეტყველებს. გუნდში შექმნილ ვითარებასა და პერსპექტივაზე „დინამოს“ სპორტულ დირექტორ გივი ნოდიას ვესაუბრეთ*



# დავუფასოთ კაცს ამაგი

## შუშაკი და კონტრ აქტები

— დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ გუნდიდან წასულ წამყვან ფეხბურთელებზე. როგორ ფიქრობთ, რამდენად მართებული იყო მათი შუა სეზონში გაშვება და შეიძლებოდა თუ არა „დინამოში“ ამ ფეხბურთელების დატოვება?

— ვიდრე დარასელიას კონტრაქტი დაუმთავრდებოდა, მე და შუშაკი ვესაუბრეთ კლუბის ხელმძღვანელობას მისთვის კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში დარასელიას წასვლაზე უნდა ეფიქრა და ასეც მოხდა. ფაქტობრივად, იგივე სიტუაცია იყო ალექსიძესთან დაკავშირებითაც, ამისულაშვილის კონტრაქტში კი იდო პუნქტი, რომ უკეთესი ვარიანტის გამოჩენის შემთხვევაში მის ტრანსფერს ვერ შევაჩერებდით და ეს ნაბიჯიც გადაიდგა.

— ეს და სხვა ფაქტები პირადად ივო შუშაკის წინააღმდეგაც ხომ არ არის მიმართული?

— ივოს კონტრაქტი მაისის ბოლოს უმთავრდება. არადა, იქმნება ისეთი სიტუაცია, რომ იგი აიძულონ, ვადაზე ადრე დატოვოს გუნდი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მისი ამაგის დაუფასებლობა უმადურობაა და სხვა არაფერი. ნაკრების კანდიდატთა სია შუშაკის ხელში „დინამოს“, ფაქტობრივად, რვა კაცამდე გაეზარდა. მისი სწორი მუშაობის შედეგად მოუმატეს ალექსიძემ, დარასელიამ, კვირკველიამ, ახალაიამ, ამისულაშვილმა, შაშიაშვილმა, ხიზანეიშვილმა. გუნდში ახალი თაობის ნიჭიერი ფეხბურთელებიც გამოჩნდნენ.

**— მაისის ბოლოს დააყენებთ თუ არა შუშაკთან კონტრაქტის გაგრძელების საკითხს?**

— სამწუხაროდ, ასეთი გადაწყვეტილებები მარტო ჩვენზე არაა დამოკიდებული. თუ კონტრაქტის გაგრძელების სურვილი იყო, ამის გაკეთება ადრეც შეიძლებოდა, ვინაიდან ჩემპიონებიც ვიყავით და თასის მფლობელებიც. ჩემპიონატის პირველი ეტაპი რვაქულიანი უპირატესობით დავასრულეთ და ესენგეს თასიც მოვიგეთ. გასაოცარი კი ისაა, რომ უსიამოვნო ხმების აგორება სწორედ ესენგეს ტურნირის მერე დაიწყო. ჩემი აზრით კი, როგორც არ უნდა დამთავრდეს ჩემპიონატი, ბატონმა ივომ თავისი მუშაობით დაამტკიცა მაღალი სამწვრთნელო დონე.

— ფეხბურთელები რას ფიქრობენ შუშაკის წასვლა-დარჩენაზე?

— მათი დამოკიდებულება ცალსახაა — ისინი სრულ ნდობას უცხადებენ შუშაკს. ყველაზე გამოცდილი ნემსაძით დაწყებული, ახალგაზრდა იაშვილით დამთავრებული.

— დავუშვათ, „დინამომ“ შუშაკთან კონტრაქტი არ გააგრძელა...

— ძველ დროს ვიხსენებ. „დინამოს“ ისტორიაში ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელის ნოდარ ახალკაცის კარიერაში იყო მომენტი, როდესაც ის კინაღამ გადააყოლეს „გრასჰოპერსთან“ მარცხს. ეს რომ მომხდარიყო, არ იქნებოდა არც 1978 წლის ჩემპიონობა, არც 1979 წლის თასი და არაც 1981 წელი

შუშაკი, როგორც ეს ნამდვილ პროფესიონალს შეეფერება, ჩაამთავრებს სეზონს — მისი წყობიდან გამოყვანა ძალიან ძნელია. მჯერა, რომ საკადრისი შედეგითაც დაასრულებს ჩემპიონატს. მერე რა იქნება, მომავალი დაგვანახებს. შუშაკი სერიოზულ წინადადებათა ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის. მას საკმაო შემოთავაზებები აქვს სხვადასხვა კლუბებიდან. გუშინაც დაურეკეს, მაგრამ მითხრა, რომ აქაურობა არ ეთმობა, საქართველოში დიდ სითბოს ვხედავო.

**დავით ერაძე**


სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები) დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით





ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები...

სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპელები...

საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91

53-76-82 899 56-18-49

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ჩანს კადრში?

## გალიანიმ უკადრებელი იკადრა



*იტალიაში, მსაჯთა შეცდომების გამო ატეხილი აყალმაყალი ისე ავორდა, რომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ საგანგებო თათბირი მოიწვია. ამასობაში, „მილანის" ვიცეპრეზიდენტმა და პროფესიული ლიგის პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ ყველაფერში პრესა დაადანაშაულა*

არადა, ბოლო ტური მსაჯთა საეჭვო გადაწყვეტილებებით მართლაც გადატვირთული გამოდგა. საკამათო მომენტთა შორის იყო „მილანის" სასარგებლოდ „ემპოლის" კარში პენალტის დანიშვნაც, რომელმაც სატურნირო ცხრილზე იქონია გავლენა — რომ არა ეს თერთმეტმეტრიანი, „მილანი" ვერ გაიმარჯვებდა და, შესაბამისად, მას და „რომას" შორის სხვაობა შემცირდებოდა.

გარდა ამისა, ერთობ საკამათო გახლდათ ლაციოელი სეზარის გოლის არჩათვლა „იუვენტუსის" კარში და „ინტერის" ფორვარდის, ობაფემი მარტინსის გოლის ჩათვლა „პერუჯას" კარში. მარტინსის გოლიც „მილანის" პენალტისა არ იყოს, გამარჯვების გამოდგა.

„ლაციოს" მწვრთნელი რობერტო მანჩინი: „კონკრეტულად მსაჯების დადანაშაულება არ მინდა, მაგრამ წესები ნამდვილად გასარკვევია. თუ, მაგალითად, თამაშგარე ძალიან ზუსტად არ იქნება განმარტებული, თანამსაჯები ნამდვილად ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან".

მართლაც, სერია A-ში დიდი პრობლემა პასიური თამაშგარის ცნებამ გამოიწვია. ამ საკითხს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ფრანკო კარარომ კიდევ ცალკე თათბირი უნდა მიუძღვნას. მასთან ერთად იმსჯელებენ ხსენებული ადრიანო გალიანი, ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტი სერჯო კამპანა, მწვრთნელთა ასოციაციის პრეზიდენტი აძელიო ვიჩინი და მსაჯთა ასოციაციის პრეზიდენტი ლანეზე.

ამასობაში გალიანიმ თავად გააკეთა ისეთი განცხადება, რომელმაც ცალკე კამათი გამოიწვია.

„შეძრწუნებული ვარ იმით, რაც მოხდა — უთხრა გალიანიმ „კორიერე დელა სერას" — როდესაც პენალტის ეპიზოდს ნორმალური სიჩქარით ვუცქერდით, „ემპოლის" მეკარე დანიელე ბალი იონ დალ ტომასონთან კონტაქტისას დამნაშავედ ჩანდა, ხოლო, როდესაც კადრს ვანელებდით, ბალის მოქმედება აშკარად ნაკლებსახიფათო ჩანდა. ამიტომ, ტელეგამეორებებზე ზედამხედველობაა საჭირო. ის, ვინც მატჩის რეპორტაჟის მსვლელობისას არჩევს, რომელი ეპიზოდი შეანელოს, ხოლო რომელი არა, მსაჯებზე ზემოქმედების ბერკეტებს ფლობს. აქ შესაძლოა მტრული დამოკიდებულებით რომელიმე კლუბი გაანადგუროს კიდეც".

ყოფილი მსაჯი გრაციანო ჩეზარი კი ამ საკითხზე ასეთი აზრისაა:

„გამეორებები შესაძლოა მხოლოდ სასწავლო მაგალითებად გამოვიყენოთ. მათი შემხედვარე უნდა ვცდილობდეთ ტიპიური შეცდომები აღარ გავიმეოროთ. ფეხბურთში დიდი გამოცდილების კაცი და ვიცი, რომ მსაჯობა უძნელესი საქმეა".

**პაპუნა ძედია**



ეს პენალტი არ უნდა დანიშნულიყო



მარჩელო ლიპი

# არ შეცდეთ!

## ტურამი ლიპის და ტრეზეგეს ვერ ელევა

**მსოფლიოსა** და ევროპის ჩემპიონი, ფრანგი ლილიან ტურამი დარწმუნებულია, რომ „იუვენტუსი" მწვრთნელის, მარჩელო ლიპისა და ფორვარდის, დავიდ ტრეზეგეს შესანარჩუნებლად ყველა ღონეს იხმარს. შეგახსენებთ, რომ როგორც ლიპიზე, ასევე ტრეზეგეზე დაირხა ხმა, თითქოს ისინი ამ სეზონის ბოლოს „დელე ალპიდან" წავლენ, მაგრამ ტურამს სწამს, რომ მათი გაშვება ძალიან სერიოზული შეცდომა იქნებოდა.

„ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილების განსახორციელებლად კლუბმა ბევრი ფაქტორი უნდა გაითვალისწინოს. ლიპის „იუვენტუსისთვის" იმდენი აქვს გაკეთებული, რომ მისი სამსახურიდან გაშვება უბრალოდ უაზრობაა. ამ ზფხულს, სეზონისწინა შეკრებაზე ლიპი რომ ველარ დავინახო, ძალიან გამიკვირდება" — თქვა სტოპერმა.

რამდენადაც ცნობილია, მარჩელო ლიპის სახელს იტალიის ნაკრებს უკავშირებენ, დავიდ ტრეზეგეს კი „ბარსელონას", თუმცა, ტრეზეგეს ამჟამინდელი კონტრაქტი 2005 წლამდეა და მის განახლებას, ისე ჩანს, არ აპირებენ.

„რა თქმა უნდა, გარშემო ბევრი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ მისნაირი გამოცდილი ჩემპიონის მოძებნა ძალიან ძნელი საქმეა. ვფიქრობ, საკუთრივ „იუვენტუსისთვის" არის უმჯობესი ამთავითვე ნათლად რომ გამოცხადდეს — ტრეზეგე არსად წავა, მისი დონის ვარსკვლავებს ასე იოლად არ ელევიან" — განმარტა „პარმას" ყოფილმა კაპიტანმა, რომელსაც თავის ბედზეც ჰკითხეს.

„მე კონტრაქტით ტურინში კიდევ ორი წელიწადი უნდა გავატარო და ამწუთას დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ კონტრაქტის პირობების ბოლომდე შესრულება მსურს" — უპასუხა ტურამმა.

**პაპუნა ძედია**

Copa Toyota Libertadores '2004

## ლიბერტადორესის თასი 2004. ჯგუფური ეტაპი

IX ჯგუფი. VI ტური

**კურიტიბა (ბრაზილია) 2:0 სპორტინგ კრისტალი (პერუ)**

1:0 არისტისაბალი (71), 2:0 ლუის მარიო (75)

**როსარიო სენტრალი (არგენტინა) 2:1 ოლიმპია (პარაგვაი)**

1:0 კლაუდიო გონსალესი (3), 1:1 ერნან ლოპესი (38), 2:1 პაბლო სანჩესი (78)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგ კრისტალი | 6 | 3 | 1 | 2 | 13:9 | 10 |
| როსარიო სენტრალი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:8 | 10 |
| კურიტიბა | 6 | 2 | 2 | 2 | 7:8 | 8 |
| ოლიმპია | 6 | 1 | 2 | 3 | 7:10 | 5 |

*„სპორტინგ კრისტალი" და „როსარიო სენტრალი" გავიდნენ შემდეგ ეტაპზე*

## შოტლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

**დანფერმლაინი 1:1 ჰიბერნიანი**

0:1 რიორდანი (5), 1:1 დემპსი (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 31 | 28 | 3 | 0 | 97:18 | 87 |
| რეინჯერსი | 31 | 22 | 4 | 5 | 63:25 | 70 |
| ჰართსი | 32 | 15 | 9 | 8 | 46:35 | 54 |
| დანფერმლაინი | 31 | 12 | 10 | 9 | 34:41 | 46 |
| დანდი იუნ. | 32 | 11 | 8 | 13 | 38:50 | 41 |
| მოზერუელი | 31 | 10 | 9 | 12 | 36:37 | 39 |
| ჰიბერნიანი | 32 | 9 | 10 | 13 | 35:50 | 37 |
| ლივინგსტონი | 31 | 8 | 10 | 13 | 36:46 | 34 |
| დანდი | 32 | 8 | 9 | 15 | 39:53 | 33 |
| კილმარნოკი | 32 | 9 | 5 | 18 | 39:67 | 32 |
| აბერდინი | 31 | 8 | 7 | 16 | 36:49 | 31 |
| პარტიკი | 32 | 4 | 6 | 22 | 31:59 | 18 |

## სერბეთი

პრვა ლიგა. XXV ტური

**ცრვენა ზვეზდა 2:0 ობილიჩი**

## ამხანაგური მატჩები. 28 აპრილი

### მაროკო — არგენტინა

**არგენტინა**

*მეკარეები: პაბლო კავალიერო (სელტა, ესპანეთი), ლეო ფრანკო (მალიორკა, ესპანეთი);*
*მცველები: რობერტო აიალა (ვალენსია, ესპანეთი), გაბრიელ მილიტო (სარაგოსა, ესპანეთი), ფაბრიციო კოლოჩინი (ვილიარეალი, ესპანეთი), ვალტერ სამუელი (რომა, იტალია), ფაკუნდო კიროგა (სპორტინგი, პორტუგალია);*
*ნახევარმცველები: ესტებან კამბიასო, სანტიაგო სოლარი (ორივე რეალი, ესპანეთი), ხუან რომან რიკელმე (ვილიარეალი, ესპანეთი), მატიას ალმეიდა, ხავიერ ძანეტი, კილი გონსალესი (სამივე ინტერი, იტალია), დიეგო პლასენტე (ლევერკუზენი, გერმანია), ანდრეს დალესანდრო (ვოლფსბურგი, გერმანია);*
*თავდამსხმელები: ერნან კრესპო (ჩელსი, ინგლისი), ხავიერ სავიოლა (ბარსელონა, ესპანეთი), სეზარ დელგადო (კრუზ ასული, მექსიკა)*

### უნგრეთი — ბრაზილია

**ბრაზილია**

*მეკარეები: დიდა (მილანი, იტალია), მარკოსი (პალმეირასი);*
*მცველები: კაფუ (მილანი, იტალია), დედე (დორტმუნდი, გერმანია), რობერტო კარლოსი (რეალი, ესპანეთი), მარსელო ბორდონი (შტუტგარტი, გერმანია), ჟუანი, ლუსიო (ორივე ლევერკუზენი, გერმანია), როკე ჟუნიორი (სიენა, იტალია), ედმილსონი (ლიონი, საფრანგეთი);*
*ნახევარმცველები: მანსინი (რომა, იტალია), ედუ (არსენალი, ინგლისი), ჟულიო ბაპტისტა (სევილია, ესპანეთი), ალექსი (კრუზეირო), რენატო (სანტოსი), ფელიპე (ფლამენგო), ჟუნინიო პერნამბუკანო (ლიონი, საფრანგეთი), ზე რობერტო (ბაიერნი, გერმანია), კაკა (მილანი, იტალია);*
*თავდამსხმელები: რონალდინიო (ბარსელონა, ესპანეთი), ადრიანო (ინტერი, იტალია), ლუის ფაბიანო (სან პაულუ)*

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



გარი ნევილმა, ცხადია, გოლით გაიხარა — სამი წელია, არ გაუტანია

# აღდგომის ბოლო თამაშები არის გარის გოლი

## ინგლისი

**პრემიერლიგა. XXXIII ტური**

**მანჩესტერ იუნ. 1:0 ლესტერი**

1:0 ნევილი (56)

მანჩესტერ იუნ: კეროლი, გ. ნევილი, ვ. ბრაუნი, მ. სილვესტრი, ოში, კ. რონალდო, ბათი, სქოულზი, ბელიონი (ჯემბა-ჯემბა 83), ფორლანი (ფლეტჩერი 57), საჰა

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ლესტერი: ი. უოქერი, ტეტჩერი, დაბიზასი, ჰითი, შიმეკა, მაკკინლი, იზეტი, ფროინდი (გილესპი 66), გ. სტიუარტი (სკოუკროფტი 66), დიკოვი (გაპი 77), მ. ბენტი

მწვრთნელი: მიკი ადამსი

გაფრთხილება: შიმეკა, დაბიზასი, ტეტჩერი

მსაჯი: ჰალსი

67 749 მაყურებელი

**ლიდსი 1:1 ევერტონი**

0:1 რუნი (13), 1:1 მილნერი (50)

ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, ს. კოლდუელი, დაბერი, ჰარტი, პენანტი, რადებე, მატეო, მილნერი, ვიდუკა, სმიტი

მწვრთნელი: ედი გრეი

ევერტონი: მარტინი, პისტონე, იობო, ანსუორთი, ნეისმიტი, უოტსონი (მაკფადენი 55), გრავესენი (კარსლი 80), ლინდეროტი (ნიარკო 55), კილბეინი, რუნი, რაძინსკი

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

გაფრთხილება: კოლდუელი, რადებე, ნიარკო

მსაჯი: დარკინი

39 835 მაყურებელი

სააღდგომო სიგიჟე ინგლისში საშაბათ საღამოს დამთავრდა.

გადარჩენისთვის მებრძოლმა „ლიდსმა" ქულა წამოიღო ლივერპულიდან, სადაც პირველი ტაიმი წააგო „ევერტონთან", მეორის დასაწყისში კი ჯეიმს მილნერის გოლით გაათანაბრა.

მასპინძელთაგან ბურთი დისკვალიფიკაციის შემდეგ დაბრუნებულმა უეინ რუნიმ გაიტანა მე-12-ე წუთზე, რამდენიმე წამის შემდეგ კი ტომაშ რაძინსკიმ იორკშირელთა ძელი დააზანზარა, თუმც „ლიდსმა" სიმშვიდე შეინარჩუნა და გვარიანად ამუშავა თავისი ყოფილი მეკარე ნაიჯელ მარტინი.

მილნერი, ვინც ერთ დროს რუნის პრემიერლიგის ყველაზე ახალგაზრდა გოლის გამტანის რეკორდი წაართვა, ამჯერადაც მშვენივრად გაეჯიბრა ნაკრების ვარსკვლავს და მარტინი რომ არა, ერთი მშვენიერი თავურიც უნდა გაეტანა. „ლიდსს", რა თქმა უნდა, გამარჯვება ერჩია, თუმცა მენეჯერმა ენდი გრეიმ თქვა: „მძიმე პოზიციაში ვართ, მაგრამ გადაწყვეტილი არაფერია. ახლა „არსენალს" ვსტუმრობთ და მინდა ვთქვა, რომ ბოლო ორი წელია, „ჰაიბერიზე" სულ ვიგებდით".

ამ დროს კი „ევერტონის" თავკაცი დევიდ მოიესი კმაყოფილი იყო, სააღდგომო თამაშებში ოთხი ქულა ავიღეთ და ახლა მეტი თავდაჯერებით ვთამაშობთო.

იმავე საღამოს „მანჩესტერმა" „ლესტერი" დაამარცხა და სამი ქულითღა ჩამორჩება მეორე ადგილზე მყოფ „ჩელსის", თანაც თამაშიც ნაკლები აქვს. „ლესტერი" კი კიდევ უფრო დრამატულად დამკვიდრდა ბოლოსწინა ადგილზე. თამაშის ერთადერთი გოლი, ნუ გავიკვირვებთ და, გარი ნევილმა გაიტანა, რაც მისი პირველი პრემიერლიგური გოლი გამოდგა ბოლო სამ წელიწადში. „მანჩესტერს" კვლავ არ ჰყავდა როი კინი და რუუდ ვან ნისტელროოი, სერ ალექს ფერგიუსონმა ის მოთამაშეები დაასვენა, რომლებიც მოედანზე გამოიყვანა: „ჩვენ 60 ათასი კაცი გვიყურებს და მოგებას ელის. ამასთან, მე მყავს კარგი ფეხბურთელები, რომლებსაც სათამაშო პრაქტიკა აკლიათ. მათ დღეს დაამტკიცეს, რომ მართლაც კარგი ფეხბურთელები არიან".

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 32 | 23 | 9 | 0 | 62:22 | 78 |
| ჩელსი | 33 | 22 | 5 | 6 | 60:26 | 71 |
| მანჩესტერი | 32 | 21 | 5 | 6 | 59:31 | 68 |
| ლივერპული | 33 | 13 | 10 | 10 | 48:36 | 49 |
| ნიუკასლი | 32 | 12 | 13 | 7 | 45:33 | 49 |
| ასტონ ვილა | 33 | 13 | 9 | 11 | 44:40 | 48 |
| ჩარლტონი | 32 | 13 | 8 | 11 | 43:40 | 47 |
| ბირმინგემი | 33 | 12 | 10 | 11 | 39:41 | 46 |
| მიდლსბრო | 33 | 12 | 9 | 12 | 40:40 | 45 |
| ფულემი | 33 | 12 | 8 | 13 | 46:44 | 44 |
| საუთჰემპტონი | 32 | 11 | 9 | 12 | 35:32 | 42 |
| ბოლტონი | 33 | 10 | 11 | 12 | 38:51 | 41 |
| ევერტონი | 33 | 9 | 11 | 13 | 42:47 | 38 |
| ტოტენჰემი | 33 | 11 | 5 | 17 | 42:52 | 38 |
| სიტი | 33 | 7 | 13 | 13 | 46:47 | 34 |
| ბლექბერნი | 33 | 9 | 7 | 17 | 47:57 | 34 |
| პორტსმუთი | 32 | 9 | 7 | 16 | 36:47 | 34 |
| ლიდსი | 33 | 8 | 8 | 17 | 35:64 | 32 |
| ლესტერი | 33 | 5 | 13 | 15 | 41:58 | 28 |
| ვულვზი | 33 | 5 | 10 | 18 | 31:71 | 25 |

**I დივიზიონი. XLII ტური**

**უიგანი 3:0 კარდიფი**

1:0 რობერტსი (36), 2:0 ელინგტონი (54), 3:0 რობერტსი (58)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვიჩი | 41 | 24 | 10 | 7 | 66:34 | 82 |
| ვესტ ბრომვიჩი | 41 | 23 | 11 | 7 | 60:35 | 80 |
| სანდერლენდი | 40 | 20 | 11 | 9 | 58:39 | 71 |
| უიგანი | 42 | 18 | 14 | 10 | 58:42 | 68 |
| იფსვიჩი | 42 | 20 | 8 | 14 | 79:67 | 68 |
| შეფილდი | 42 | 19 | 9 | 14 | 60:51 | 66 |
| მილუოლი | 41 | 17 | 14 | 10 | 51:41 | 65 |
| ვესტ ჰემი | 42 | 16 | 16 | 10 | 58:44 | 64 |
| კრ. პალასი | 41 | 18 | 9 | 14 | 63:56 | 63 |
| რედინგი | 42 | 18 | 9 | 15 | 52:55 | 63 |
| კარდიფი | 42 | 16 | 11 | 15 | 62:54 | 59 |
| ქოვენთრი | 42 | 15 | 13 | 14 | 59:48 | 58 |
| პრესტონი | 42 | 15 | 12 | 15 | 61:58 | 57 |
| სტოკი | 41 | 15 | 11 | 15 | 51:52 | 56 |
| ქრიუ | 42 | 14 | 9 | 19 | 52:58 | 51 |
| ნოტინგემი | 42 | 12 | 14 | 16 | 54:55 | 50 |
| უოტფორდი | 41 | 13 | 11 | 17 | 49:60 | 50 |
| როტერჰემი | 42 | 12 | 13 | 17 | 46:56 | 49 |
| უოლსოლი | 42 | 12 | 12 | 18 | 42:56 | 48 |
| ბარნლი | 41 | 11 | 14 | 16 | 56:70 | 47 |
| ჯილინგემი | 42 | 13 | 8 | 21 | 43:59 | 47 |
| დერბი | 42 | 11 | 13 | 18 | 46:64 | 46 |
| ბრედფორდი | 42 | 10 | 6 | 26 | 36:61 | 36 |
| უიმბლდონი | 41 | 6 | 4 | 31 | 35:82 | 22 |



ლიდსი — ევერტონი. ჯეიმს მილნერის ამ დარტყმას გოლი მოჰყვა

# კინო გრძელდება
## ის დაბრუნდა, [illegible]

*სამშაბათს ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ გამოაცხადა, რომ როი კინი ნაკრებში ბრუნდება.*

*„მანჩესტერის" კაპიტანს ეროვნულ გუნდში მას შემდეგ არ უთამაშია, რაც 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩხუბი მოუხდა მაშინდელ მწვრთნელ მიკ მაკარტისთან და ამ უკანასკნელმა სანაკრებო ბანაკიდან დაითხოვა*



როი კინი

**ირლანდიის** ნაკრების ამჟამინდელმა თავკაცმა ბრაიან კერმა განაცხადა: „ეს არ იყო იოლი გადაწყვეტილება, მაგრამ მისი წყურვილი საკუთარი ქვეყნის ღირსების დაცვისა, მისაბაძია".

მაკარტისთან კონფლიქტის შემდეგ კინს „მანჩესტერის" ბოსმა სერ ალექს ფერგიუსონმაც შეუჩიჩხინა და ფეხბურთელმაც თქვა, ნაკრებს სამუდამოდ გამოვეთხოვე, ახლა კლუბს თუღა გავწვდებიო.

კერი და კინი გასულ კვირაში შეხვედრიან ერთმანეთს და ყველაფერზე წვრილად ულაპარაკიათ. ამჯერზე ფერგი მხარს უჭერს კინის ნაკრებში დაბრუნებას: „ვიცი, რომ მათ მოლაპარაკებები ჰქონდათ და მიხარია, რომ ისეთი გადაწყვეტილება მიიღეს, ყველას რომ აწყობს. ირლანდია მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება. მე მთელი ასი პროცენტით ვუჭერ მხარს როის".

„ჩარლტონისა" და ნაკრების მეკარე დინ კაილი კი, რომელიც იმ ნაკრების წევრი იყო, რომლიდანაც ორი წლის წინათ კინი გააძევეს, გაოცებულია: „მხოლოდ როიმ იცის, რამდენად სწორია მისი ეს ნაბიჯი. ყველამ ვიცით, რომ ის მსოფლიო კლასის ფეხბურთელია, მაგრამ მან შეიძლება ცალკე დგომის ფაქტორი მოიტანოს გუნდში. თუმცა, ჩვენ პროფესიონალები ვართ და მხოლოდ მეგობრობით არასოდეს ვთამაშობთ".

ირლანდიური ფეხბურთის ლეგენდამ, ჯონ ჯაილსმა თქვა, რომ კინი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელია. თუმცა, იქვე მიანიშნა, რომ ნაკრების მოთამაშეები სულაც არ არიან კინის მეგობრები და გასახდელში ცივი ურთიერთობა მოედანს არ უნდა დაეტყოს.

BBC-ის ექსპერტმა მარკ ლაურენსონმა კი იხუმრა, მგონი, კენი კანინგემს დიდად არ დაამწუხრებს კაპიტნის სამკლავურის დაკარგვაო.

კინს სულ 58-ჯერ უთამაშია ქვეყნის ნაკრებში. უკანასკნელად — 2002 წლის მაისში ნიგერიასთან, მსოფლიოს ჩემპიონატის სავარჯიშო მატჩში, რომელიც ირლანდიამ 1:2 წააგო.

**ირაკლი გამყრელიძე**



ბრაიან კერი



მსოფლიოში პირველი იმუნიტეტიანი მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

# ნუ გეშინია, დედა!

## მივდივარ, მივყვები და ასე მგონია...

*„ჩელსიში“ აბრამოვიჩის მისვლის დღიდან მხოლოდ არისტოკრატიული უბანი კი არა, სრულიად ინგლისი კლაუდიო რანიერის წასვლა-დარჩენაზე მკითხაობს. საინტერესოა, რას ფიქრობს თავად მწვრთნელი, რომელსაც რკინის ნერვები აღმოაჩნდა და მის გარშემო ატეხილ რია-რიას მთელი სეზონის განმავლობაში გაუძლო. ეს ინტერვიუ ერთ-ერთ ბრიტანულ გაზეთში გამოქვეყნდა*



რომან აბრამოვიჩი კლაუდიო რანიერისთვის ხელის დაჭნევას ჯერ არ აპირებს

— ახლა უკვე ჩემპიონთა ლიგის ფინალს უმიზნებთ...

— ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. შარშან ზაფხულს რომან აბრამოვიჩის წყალობით გუნდი ხელახლა დაიბადა. ვცდილობთ, სწრაფად გავიზარდოთ, თუმც ძნელი სათქმელია, წინ რამდენად წავიწევთ. ნებისმიერ გუნდს შეთამაშება სჭირდება. დღევანდელი „ჩელსი“ თორმეტი ძველი და თერთმეტი ახალი ფეხბურთელის ნაზავია, რომლებთანაც საერთო ენა უნდა გამოვნახო. ჯერჯერობით გამოცდილება გვაკლია, რასაც დრო მოიტანს.

— სეზონის დაწყებამდე თქვით, რომ „ჩელსის“ ევროგრანდებს ვერ შეადარებთ, ახლა?

— ამჯერადაც იგივეს გავიმეორებ. „რეალის“, „იუვენტუსის“, „მილანის“, „მანჩესტერ იუნაიტედის“, „არსენალისა“ და „ლივერპულის“ დონემდე ჯერ ბევრი გვაკლია. აბრამოვიჩის მიზანი სწორედ რჩეულთა წრეში „ჩელსის“ მოხვედრაა, ეს კი რთული და შრომატევადი საქმეა. მაგალითად, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ავიღოთ. ალექს ფერგიუსონმა პრემიერლიგა შვიდწლიანი მუშაობის შედეგად მოიგო. მან შეარჩია სასურველი ფეხბურთელები, გუნდი შეკრა და მერე მოსავალიც მიიღო. ფეხბურთში ასეა: რასაც დასთეს, იმას მოიმკი. „ჩელსიში“ ახლა თესვის დროა და მოსავალზე საუბარი ნაადრევია.

— თქვენ ახალგაზრდა ინგლისელ ფეხბურთელებს ენდობით. ბრიჯი, ჯონსონი, კოული, ლამპარდი, პარკერი... მეტი ადგილობრივი მოთამაშე გყავთ, ვიდრე, ვთქვათ, „არსენალსა“ და „მანჩესტერს“, რომლებიც თავისი უცხოელებით გაცილებით წარმატებულნი არიან პრემიერლიგის ისტორიაში.

— ასე ვიქცეოდი ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც მიმუშავია. ვფიქრობ, რომ ადგილობრივი ფეხბურთელებით უფრო მტკიცე, მებრძოლ და სიცოცხლისუნარიან გუნდს შევქმნი, მით უმეტეს, ინგლისში. აქ ხომ პრემიერლიგის 38 ტურის გარდა, ლიგის თასის და ასოციაციის თასის მატჩები გვაქვს სათამაშო. ინგლისური სული უნდა იგრძნობოდეს, ეს აუცილებელია.

ერთ მაგალითს მოგიყვანთ: „ვულვერჰემპტონს“ 5:0 მოვუგეთ და ჟურნალისტები პირველ რიგში უეინ ბრიჯის უთამაშებლობით დაინტერესდნენ. რატომ? იმიტომ, რომ ბრიჯი ინგლისელია, აქ კი ტრადიციებს ძალიან აფასებენ. ეს ყველაზე უკეთ სათასო მატჩებში გამოიხატება.

იტალიის თასის მეოთხედფინალში „იუვენტუსისა“ და „პერუჯას“ შეხვედრას 500 მაყურებელი დაესწრო, „უდინეზე“ — „ინტერს“ კი სამი ათასი, ხოლო ინგლისში ნებისმიერ სათასო თამაშზე სტადიონი ბოლომდე სავსეა. „სკარბოროსთან“ სტუმრად რომ ჩავედით, მთელი ქალაქი ჩვენს შესახვედრად გამოეფინა და უნდა გენახათ, მატჩისას მოყვარულთა გუნდს როგორ ქომაგობდნენ, ეს საოცრებაა!

— რომან აბრამოვიჩი თქვენებურ სტრატეგიაში გაარკვიეთ?

— რა თქმა უნდა. ის თავის მოსაზრებას მიზიარებს, მაგრამ ვერაფერს დამაძალებს, პრესაში კი ხშირად ათას სისულელეს წერენ. ჩვენი პირველი შეხვედრა ძალიან საინტერესო იყო. დიდხანს ვისაუბრეთ და ჩემი შეხედულებები გავაცანი. სეზონის ბოლოს გამოჩნდება, კმაყოფილია თუ არა შედეგით. არ მოეწონება? სხვა მწვრთნელს მოიყვანს, არ ვიდარდებ. 52 წლის ვარ და კარგად ვიცი, რომ ყველაფერში იდეალური ვერავინ იქნება.

— ფაქტობრივად, ერთადერთი მწვრთნელი ხართ მსოფლიოში, ვისაც უმდიდრესი პატრონი, უზარმაზარი ფინანსური შესაძლებლობის პრეზიდენტი ჰყავს. მიუხედავად ამისა, მთელი სეზონის განმავლობაში სანერვიულო არ გაკლდათ. ასეთ ექსტრემალურ ვითარებაში მუშაობას როგორ ახერხებთ?

— პრინციპული ვარ და გზიდან არასოდეს გადავუხვევ, ჩემი შრომის შემფასებელი კი რომან აბრამოვიჩია. მან იცის, რომ კარგი გუნდის შექმნა რთულია. არასოდეს უთქვამს, გინდა თუ არა ამ სეზონში აუცილებლად რაღაც უნდა მოიგოო. საკმაო დრო მომცა, რომელსაც საქმისთვის ვიყენებ და არა ათასგვარი ჭორების მოსაგერიებლად.

— აბრამოვიჩი გუნდის ტაქტიკაზე გესაუბრათ?

— თავიდან დაინტერესდა, როგორ თამაშობდა „ჩელსი“ მის მოსვლამდე და რა ტაქტიკური ვარიანტები მქონდა. კარგია, როცა პრეზიდენტს ეს საკითხი აინტერესებს და თავისი მოსაზრება გააჩნია, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში მთავარი სიტყვა მე მეკუთვნის და თვით აბრამოვიჩიც კი ვერ ჩაერევა ამ საქმეში.

— „ნაპოლიში“ ფერლანოს, „ფიორენტინაში“ ვიტორიო ჩეკი გორის, „ატლეტიკოში“ კი ახირებული ხესუს ხილი ხილს გაუძელით...

— შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტებზე იმუნიტეტი გამომიმუშავდა. არც ერთ მათგანთან განსაკუთრებული პრობლემა არასოდეს მქონია, რადგან თავიდანვე ვაფრთხილებდი, ჩემს საქმეში არ ჩარეულიყვნენ.

— მაშინაც კი, როცა მედიამ თქვენს ადგილზე სვენ გორან ერიკსონი „დანიშნა“, იუმორის გრძნობა არ დაგიკარგავთ...

— ცხოვრებას ფილოსოფიურად უნდა მიუდგე. დღეს დონ კიხოტების დრო აღარაა. მე ქარის წისქვილებთან ბრძოლას არ ვაპირებ და მირჩევნია, უაზრო კონფლიქტებს მოვერიდო. ოხრად საქმე მაქვს, კვირაში ხან სამ მატჩს ვთამაშობთ და ვიღაცის მონაჩმახის მოსასმენად დრო არ მრჩება.

— პრესასთან თქვენი ურთიერთობებით ინგლისი მოხიბლულია...

— საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა არასოდეს მქონია და ვცდილობ, უბრალო ვიყო. იტალიაში უხეშ და სიტყვაძუნწ კაცად მიცნობდნენ, აღმოჩნდა, რომ აქ უკეთესად გამიგეს, ვიდრე სამშობლოში.

— ოდესმე თუ გიფიქრიათ, რომ ინგლისში მუშაობა მოგიწევდათ?

— ყველაფერი მოულოდნელად და სწრაფად მოხდა. როცა „ჩელსიდან“ დამიკავშირდნენ, საზღვარგარეთ წასვლა გეგმაში არ მქონდა, მაგრამ საინტერესო შემოთავაზებაზე უცბად დავთანხმდი. თავის დროზე „ვალენსიაში“ ჩემი გადასვლა 24 საათში გადაწყდა. მოკლედ, დინებას მივყვები.

— რით გამოირჩევა ახლანდელი პრემიერლიგა?

— ყველაფრით. აქ განსაკუთრებული გარემოა და ფეხბურთთან გულშემატკივართა დამოკიდებულებაც განსხვავებულია. მახსოვს, ჩემი პირველი სეზონის ბოლო ტურში „მანჩესტერ სიტის“ ვესტუმრეთ, რომელიც უკვე გავარდნილი იყო. გვირაბიდან მოედანზე გასვლისას ასეთი სურათი ვიხილე: ქომაგები ტაშით შეეგებნენ „სიტის“ თვალცრემლიან ფეხბურთელებს. იტალიელებისგან განსხვავებით, აქაურები, მოგება-წაგებისგან განურჩევლად, გუნდს ყოველთვის ერთნაირად გულშემატკივრობენ.

— ინგლისური „სამოთხიდან“ სამშობლოში სამუშაოდ დაბრუნებას გამორიცხავთ?

— არა, რატომ? მე ხომ უკვე გითხარით, რომ პრეზიდენტებზე იმუნიტეტი მაქვს და არავისი მეშინია. მთავარია, როგორ მუშაობ და არა, სად მუშაობ.

— იტალიაში მწვრთნელობა ხომ ჯოჯოხეთია...

— ექიმებმა გამოიკვლიეს, რომ იტალიაში ფეხბურთელებს გაცილებით ხშირად ემართებათ სტრესი, ვიდრე საფრანგეთში, ინგლისსა თუ ესპანეთში. ჩემს სამშობლოში ყველაფერი გულთან ახლოს მიაქვთ. მედია ვითარებას ხშირად უსაფუძვლოდ ამწვავებს, ხოლო აპენინელ ქომაგს სჯერა ყველაფერი, რასაც გაზეთიდან და ტელევიზორიდან მიაწვდიან. ხანდახან, როცა დედაჩემი მირეკავს და რაღაც-რაღაცეებს მეკითხება, ვხვდები, რომ გაზეთში ნაწერს უფრო ენდობა, ვიდრე შვილის მონაყოლს.



# 70 მილიონი?!

## აბრამოვიჩი რონალდინიოს წაეპოტინა

„ბარსელონა“ რონალდინიოს გაყიდვაზე უახლოეს მომავალში არავისთან ვაჭრობას არ აპირებს“ — ზუსტად ასე განუმარტა „ჩელსის“ რუს მეპატრონეს, რომან აბრამოვიჩს „ბარსას“ პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ და ბრაზილიელში შეთავაზებულ 70 მილიონ ევროზეც უარი თქვა. „ბარსა“ რონის არც ამაზე მეტი თანხის საფასურად გაუშვებს, რამეთუ ოკეანისგაღმელის „კამპ ნოუზე“ ბურთაობა დღეს იქაურებისთვის ნებისმიერი რუსი თუ არარუსი ფულიანი კაცის ქონებაზე გაცილებით ძვირფასი გამხდარა. მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს რონალდინიოს კატალონიიდან წასვლისა. თუ ფეხბურთელი (კლუბთან დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლის გათვალისწინებით) კონტრაქტის გაწყვეტაში 100 მილიონ ევროს გადაიხდის, თუმცა, ცხადია, ბრაზილიელი ამის გამკეთებელი არ არის.

„რონალდინიოს შეძენით მრავალი კლუბია დაინტერესებული, მაგრამ ჩვენს გეგმებში მისი გაყიდვა არ შედის. არც რონი და არც კარლეს პუიოლი გუნდიდან არ წავლენ“ — განუცხადა კატალანთა პრეზიდენტმა ლაპორტამ ესპანურ „ელ მუნდო დეპორტივოს“.

**ლადო ხომერიკი**



ხუან ლაპორტა
70 მილიონს არ დახარბდა

# სალგადომ რაულს... ბატოოო



რაული და სალგადო ერთმანეთს ღიმილით დაშორდნენ



„რეალი“ ესპანეთის თასისთვის ბრძოლას გამოეთიშა, გამოვარდა ჩემპიონთა ლიგიდან, წაზდა „ოსასუნასთან“ და შეიმცირა საპრიმერო შანსი, სამეფო გუნდს თეთრი ცხვირსახოცები უფრიალეს ბოლო მატჩისას და თითქოს ეს ყველაფერი საკმარისი არ იყო, „გალაქტიკოს“, თუ რაც გინდა დაარქვით, ვარსკვლავებმა გუშინ რიგითი ვარჯიშისას საქვეყნოდ საქმე გაურჩიეს ერთმანეთს.

ვარჯიშზე ორმხრივი თამაშისას რეალელებს გვარიანად დაულურჯებიათ ერთმანეთისთვის ფეხები, მერე კი მიჩელ სალგადოს, ბატივით ნუ დააბოტებ, დამეხსენიო, ამის მსგავსი მითითება მიუცია რაულისთვის. „მეფეთა“ ცოცხალ სიმბოლოს ვინმეში ხომ არ გეშლებიო და აწეულა დაკა-დაკა. მოჩხუბართა შორის ხორდი და ბორხა ჩადგნენ, მერე კი საბოლოოდ დაწყნარებულ თანაგუნდელებთან კარლუშ კეიროში მისულა და რა ბავშვებივით იქცევითო, უთქვამს. რაული და სალგადო ვარჯიშის ბოლომდე შერიგდნენ და ძმურად ხელიხელ გადახვეულებმა დატოვეს მოედანი.

ესეც შენი „გალაქტიკო“...

**პაატა ძვანტალიანი**

# ხოსეს გული სევილიასთვის სცემს

— აუცილებლად დავბრუნდები „სევილიაში“ — ხოსე ანტონიო რეიესის ეს სიტყვები არსენ ვენგერს, ვინძლო, ემცხეთა, მაგრამ „არსენალის“ ფრანგ მწვრთნელს ის თუ დაამშვიდებს, რომ ზამთირის სატრანსფერო სეზონზე 30 მილიონ ევროდ შეძენილ ესპანელს, ლონდონიდან აბარგება სამომავლოდ დაუთქვამს. ისე, ხოსემაც ალბათ კარგად უწყის, რომ ინგლისელები მასში გადახდილ ფულს იოლად არ შეელევიან და სევილიისკენ მაცქერალ ჭაბუკს „ჰაიბერის“ კარს ნებით არ გაუღებენ.

და რატომ მოსურვებია ხოსეს სამი თვის თავზე ბრიტანეთის მიტოვება? ამ კითხვაზე პასუხს ვერც რეიესი გვიმხელს და ვერც „არსენალის“ თავკაცობა. ერთი ეგაა, ბრიტანულ „სკაი-სპორტს“ ესპანელმა ფორვარდმა უთხრა, „სევილიას“ მატჩებს გულისყურით ვადევნებ თვალს და ჩემი გული და სული ყოფილი გუნდის საქომაგოდ არის შეტოკებულიო. არადა, ხოსე „არსენალს“ ძალიან მოუხდა და ვენგერსაც მისთვის დენის ბერხკამპის სახელ-დიდება გაუმზადებია.





# რომ არა ბრაზილია...

## კაიზერ ფრანცის მიხედვით

*უეფა ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით მსოფლიო ფეხბურთის შებერებული ვარსკვლავების მონოლოგებს აქვეყნებს. ამჯერად ფრანც ბეკენბაუერს მიაკითხეს, რომელმაც ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ერთგვარი შედარებითი დახასიათება დაწერა*

### საშობაო სიცხე ბუენოს აირესში

1967 წლის დეკემბერში, „ბაიერნში“ ყოფნისას, ტურის მატჩის შემდეგ მიუნხენიდან დამქანცველი რეისით არგენტინის დედაქალაქში ჩავფრინდით: მიუნხენი — ფრანკფურტი — დაკარი — რიო დე ჟანეირო — ბუენოს აირესი. დაახლოებით 26 საათი ვიფრინეთ და მახსოვს, თვითფრინავის დაჯდომისას წვიმდა და ჭექა-ქუხილი იყო. ყველანი გავისუსეთ, ვილაცამ შიშისგან თავი მუხლებში ჩარგო.

მთელი ეს მტანჯველი გზა „რასინგთან“ ამხანაგური მატჩის სათამაშოდ გავიარეთ, რომელიც იმ წელს იუბილეს ზეიმობდა.

სტადიონზე 60 ათასი გულშემატკივარი შეიკრიბა. ის შეხვედრა 2:3 წავაგეთ. ბუენოს აირესში ძალიან ცხელოდა და ევროპული ზამთრიდან გაგანია ზაფხულში აღმოვჩნდით.

ჩემთვის, 22 წლის ბიჭისთვის, ასეთი მოგზაურობა პირველი იყო, თუ არ ჩავთვლით ერთი წლით ადრე ინგლისში მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს. მაშინ ახლოდან ვნახე და შევიგრძენი სამხრეთამერიკული ფეხბურთის ხიბლი.

1971-ში ოკეანისგაღმელებს კიდევ ერთხელ ვეწვიეთ და ტურნე მოვაწყეთ. ბრაზილია, არგენტინა, პარაგვაი და ჩილე მოვინახულეთ, თან ორ კვირაში ექვსი მატჩი გავმართეთ.

1976 წელს ჩემპიონთა თასი მოვიგეთ და საკონტინენტთაშორის თასისთვის „კრუზეიროს“ შევხვდით. ნოემბრის ბოლოს მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“, 15-გრადუსიან ყინვაში ბრაზილიელებს ვუმასპინძლეთ და 2:0 მოვუგეთ.

ერთი თვის შემდეგ ბრაზილიაში ჩავფრინდით, 45 გრადუსი სიცხე იყო. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჯუნგლებში ვთამაშობდით. არასოდეს დამავიწყდება, როგორ გუგუნებდა 120-ათასიანი, გადაჭედილი სტადიონი. მატჩი უგოლოდ დასრულდა და თასი ჩვენ გვერგო.

ამ ჯილდოს მფლობელი მაშინ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონად ითვლებოდა. მას სამხრეთ ამერიკაში ევროპელებზე მეტად აფასებდნენ, ამიტომ ნებისმიერი თამაში სტუმრად იქაურ გუნდებთან ბრძოლას ემსგავსებოდა. ვფიქრობ, აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღეს, როცა ტოკიოში ერთმატჩიანი ფინალი დანიშნეს.

### სასწორი

საკონტინენტთაშორისო, ანუ „ტოიოტას“ თასი, 42-ჯერ გათამაშდა. ევროპელებს და სამხრეთამერიკელებს ის თითქმის თანაბრად მოუგიათ. ჯილდო პირველად მადრიდის „რეალმა“ დაისაკუთრა, ბოლოს კი, შარშან — „ბოკა ხუნიორსმა“.

საინტერესოა, რომ მსოფლიოს ჩემპიონობაც თითქმის ტოლად გაინაწილეს. სამმა სამხრეთამერიკულმა ქვეყანამ (ბრაზილია, არგენტინამ, ურუგვაია) მუნდიალი ცხრაჯერ მოიგო, ოთხმა ევროპულმა (იტალია, გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი) კი — რვაჯერ.

1988 წლის შემდეგ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ცხრაჯერ ევროპელი, შვიდჯერ კი სამხრეთამერიკული აღიარეს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ყველა საუკეთესო ევროპულ გუნდებში თამაშობდა, მათ შორის რომარიო, რივალდო და რონალდო. ადრე თუ გვიან, სამხრეთელები ბებერ კონტინენტზე ხვდებიან.

რამდენიმე თვის წინ ბრაზილიელებმა ერთ საყურადღებო ფაქტზე მიმითითეს. ჩემპიონთა ლიგის 32 გუნდში თავისი 40 თანამემამულე დაითვალეს, ვიგოს „სელტაში“ კი სულაც ხუთ-ხუთი არგენტინელი და ბრაზილიელი აღმოჩნდა.

ნიჭიერთა ძებნაში

ახალგაზრდა ფეხბურთელების მომზადებაში „რივერ პლეიტი“ სამაგალითოა. მის პრაქტიკას უკვე აფრიკული კლუბებიც იყენებენ. ორი წლის წინ „ბაიერნთან“ ერთად ტუნისში ვიყავი და ვნახე ერთ-ერთი გუნდის ბაზა, ხუთი-ექვსი იდეალური მოედნით და ბრწყინვალე სასტუმროთი, სადაც აფრიკის სხვადასხვა ქვეყნებიდან ნიჭიერი ფეხბურთელები ჩაჰყავთ.

„რივერ პლეიტის“ სელექციონერებმა შარშან დაახლოებით 30 ათასი კილომეტრი დასერეს, 25 ათასი ბავშვი ნახეს საქმეში, საბოლოოდ კი მხოლოდ რვა შეარჩიეს. ისინი დანარჩენ 70 ფეხბურთელთან ერთად ბაზაზე დაასახლეს. აი, საიდან „იჩეკებიან“ მომავალი ვარსკვლავები, რომლებიც კარიერას ევროპაში აგრძელებენ. ეს გზა გაიარეს სავიოლამ, ბონანომ, სოლარიმ, აიალამ, აიმარმა, ალმეიდამ, კრესპომ, პლასენტემ, დალესანდრომ და ჩვენი „ბაიერნის“ მარტინ დემიკელისმა.

რაც შეეხება ბრაზილიურ ფეხბურთს, ის ჩემთვის ბურთის უზადო ფლობისა და ჯადოქრობის სინონიმია. ბრაზილიელები რომ არ ყოფილიყვნენ, ევროპული ფეხბურთი ვერასოდეს გახდებოდა ასეთი, როგორიც არის.

### ორი ქვეყანა ევროპის წინააღმდეგ

ევროპის უმდიდრეს კლუბებს შეუძლიათ მსოფლიოს ყველა ნიჭიერი ახალგაზრდა მოთამაშე შეიძინონ, მაგრამ ისინი პირველ რიგში ბრაზილიას და არგენტინას აკითხავენ, რადგან ბუენოს აირესში ან რიო დე ჟანეიროში კლუბთა სტრუქტურა დაახლოებით ისეთივეა, როგორც ლონდონში ან მადრიდში. პერუს, ჩილეს და ურუგვაის ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

დღეს მსოფლიოში ევროპული ფეხბურთი ბატონობს, მასთან კონკურენცია კი მხოლოდ ბრაზილიას და არგენტინას შეუძლიათ, რადგან თავისი ფეხბურთელების გაყიდვით გვარიანად ხეირობენ.

მათი მოთამაშეები ევროგრანდებში გამოდიან. ამიტომაც იყო, რომ სკოლარის ნაკრებმა 2002 წელს ჩემი აზრით, ევროპულ სტილში ითამაშა და ჩემპიონი გახდა. ასეთი ფეხბურთი კი ბრაზილიაში არ მოსწონთ, რადგან სურთ, რომ რონალდომ გოლამდე მეტოქეს ბურთი ფეხებშუა რამდენჯერმე გაუძვრინოს. მე მგონი, ეს ძალიან კარგი სურვილია.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...და ან ცაზე ვარსკვლავები

## გაეტანო შირეა



*როდესაც კითხულობენ, რამდენი ვარსკვლავი აჩუქა მსოფლიო ფეხბურთს ლიბეროს ან უკვე მომაკვდავმა პოზიციამ, ოთხ კაცს ასახელებენ: ფრანც ბეკენბაუერს, ფრანკო ბარეზის, დანიელ პასარელას და გაეტანო შირეას. დღეს შირეაზე მოგახსენებთ, ფეხბურთელზე, რომელიც იმით იყო გამორჩეული, რომ ევროპის ჩემპიონატის გარდა, რა შეჯიბრებაშიც ითამაშა, ყველა მოიგო. და კიდევ, შირეა უკიდურესი კორექტულობით გამოირჩეოდა.*

*იგი 36 წლისა დაიღუპა...*



# მართლა ლიბერო

## შირეას სიკვდილი გზაში ელოდა

...მეშვიდე სკუდეტოს მოპოვების შემდეგ გაეტანო შირეამ ფეხბურთის თამაშს თავი დაანება და მეგობრის, იმხანად „იუვენტუსის“ მწვრთნელის, დინო ძოფის რჩევით, კლუბში ტექნიკურ მწვრთნელად დარჩა. ამ თანამდებობაზე მან ორი წელიწადი დაჰყო, 1989 წლის 3 სექტემბრამდე, როდესაც ავტოკატასტროფაში გარდაიცვალა. ეს პოლონეთში მოხდა, სადაც შირეა უეფას თასზე „იუვენტუსის“ მეტოქის, „გურნიკის“ თამაშის დასაზვერად მიავლინეს. მისი მანქანა ტრასაზე მიდიოდა, ხოლო ტრასას არემონტებდნენ, ხშირი იყო ავარიული მონაკვეთი. იგი საბარგოს დაეჯახა. დაეჯახა ნელა, ასე რომ, მგზავრების გადარჩენა თითქოს შეიძლებოდა, მაგრამ საბარგოს ბენზინით სავსე ოთხი კასრი გადაჰქონდა და აფეთქდა. დაიღუპნენ მძღოლი, თარჯიმანი და ჩვენი წერილის გმირი. „გურნიკის“ პრეზიდენტი, ანჯეი იდებსკი გადარჩა, თუმცა საავადმყოფოში დიდხანს მოუხდა წოლა.

აი, ასე დაიღუპა ადამიანი, რომელსაც 705 ოფიციალურ შეხვედრაში მიეღო მონაწილეობა და ერთხელაც არ მიეღო წითელი ბარათი. შეგახსენებთ, ის ლიბერო იყო!

ეს ყველაფერი კი ბერგამოში დაიწყო, „ატალანტაში“. გუნდი სერია A-ში გამოდიოდა, ხოლო შირეამ ოცჯერ მოირგო მისი მაისურა, მაგრამ ვერაფერს გახდა და „ატალანტა“ გავარდა. ეს 1973 წელს მოხდა, ბერგამოში ფილიპო ინძაგი რომ იბადებოდა, მაშინ. ერთი სიტყვით, „ატალანტამ“ ვერ ივარგა, მაგრამ ჭაბუკმა ნახევარმცველმა (შირეა მაშინ ნახევარმცველი იყო) ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელთა ყურადღება მიიპყრო და სწორედ იმ ნაკრებში გადაიყვანეს თავისუფალ მცველად.

ამის შემდეგ, გაეტანო შირეა „იუვენტუსის“ პრეზიდენტმა, ჯამპიერო ბონიპერტიმ იყიდა. „ბებერ ქალბატონს“ მცველის, სანდრო სალვატორეს შემცვლელი სჭირდებოდა და შეიძინა... ძალიან დიდი ხნით — ჩვენი წერილის გმირი ხომ „შავთეთრების“ ლეგენდარულ, ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელთად იქცა. 1974 წლის 28 აგვისტოს ამ გონიერმა, მოქნილმა და ძალდაუტანებელი სტილის მცველმა პირველად მოირგო სრულიად იტალიის საყვარელი კლუბის მაისურა. იმ დღეს კოპა იტალიას შეხვედრაში „იუვემ“ „ვარეზეს“ მოუგო 4:0. ის დღე იყო და გაეტანოს მოედანზე ყოფნა-არყოფნის საკითხი არასდროს დამდგარა, სეზონი ისე არ გავიდოდა სერია A-ში, დაახლოებით 30 შეხვედრა არ ჩაეტარებინა, ხოლო ამას იტალიის თასსა და ევროტურნირებში ნათამაშებ ათ-თორმეტსაც ზემოდან ამატებდა.

და, რაც მთავარია, გაეტანო შირეა ყოველ მატჩს ძლიერად ატარებდა, ჩავარდნები არ ჰქონია.

„იუვეში“ თამაშმა, უფრო სწორად კი კარგად თამაშმა ის იცის, რომ „სკუადრა აძურაში“ გიძახებენ და გიძახებენ. თავიდან შირეა მოედანზე თვით ჯაჩინტო ფაკეტისთან ერთად გადიოდა, ხოლო შემდეგ იგი შეცვალა კიდეც და კაპიტანიც გახდა.

1978 წელს გაეტანო არგენტინაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოდის. ძალიან სიმპათიური გუნდი იყო მაშინ „სკუადრა აძურა“. პირველ ჯგუფურ ეტაპზე მომავალი ჩემპიონის ჩათვლით ყველას აჯობა, მეორე ჯგუფურ ეტაპზე კი ჰოლანდიასთან დამარცხდა, მეორეზე გავიდა და შესაბამისად, ფინალის მიღმა დარჩა, მესამე ადგილისთვის იქითა ჯგუფის მეორეს, ბრაზილიას შეხვდა. ბრაზილიამ 2:1 მოიგო.

ორი წლის შემდეგ, იტალიაში, ევროპის ჩემპიონატზე, „სკუადრა აძურა“ და გაეტანო შირეა ისევ მეოთხეები გახდნენ, ხოლო კიდევ ორ წელიწადში...

...კიდევ ორ წელიწადში 1982 წელი იდგა, ესპანეთი მსოფლიოს მორიგ ჩემპიონატს მასპინძლობდა, იტალია კი მძიმედ იწყებდა — ჯგუფში პირველზე მხოლოდ იმიტომ გავიდა და მისებრ სამქულიან კამერუნს იმიტომ აჯობა, რომ გატანილი ჰქონდა მეტი: იტალიის ბალანსი 3:3 იყო, ხოლო კამერუნისა 1:1 მეორე ჯგუფურ ეტაპზე კი „სკუადრა აძურა“ გამოცოცხლდა, არგენტინას და ბრაზილიას აჭამა ალიყური.

შემდეგ იყო პოლონელებთან ნახევარფინალი (2:0) და ფინალი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, რომელიც გაეტანო შირეამ და მისმა თანაგუნდელებმა თვალსაჩინოდ მოიგეს — 3:1.

საბოლოოდ ასე დასახელდა: საუკეთესო მეკარე დინო ძოფი, საუკეთესო თავდამსხმელი — პაოლო როსი, საუკეთესო მცველი — გაეტანო შირეა.

ხოლო „იუვეში“ გატარებული 14 წლის განმავლობაში გაეტანო შირეამ შვიდი სკუდეტო მოიგო, იტალიის თასს კი ორჯერ დაეპატრონა. მასთან ერთად შავ-თეთრი მაისურით მაშინ გამოდიოდნენ მარკო ტარდელი, პაოლო როსი, ზბიგნევ ბონეკი, და თვით მიშელ პლატინი. ყველაზე ძლიერ დაცვად მაშინ ითვლებოდა შირეა-ჯენტილე-კაბრინის ტრიო.

და, გაეტანო შირეამ „იუვესთან“ ერთად ყველა (!) ევროპული თასი მოიპოვა.

**პაპუნა ძიძია**



1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე
გაეტანო შირეამ და იტალიამ თასი ალალად ირგუნეს



# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 24.00 | 015 | არსენალი-ლიდსი | 1,32 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,13 | 2,75 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 16.30 | 016 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 19.00 | 017 | ბლექბერნი-ლესტერი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 19.00 | 018 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 019 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 020 | ჩელსი-ევერტონი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 19.00 | 021 | ლივერპული-ფულემი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 19.00 | 022 | სიტი-საუთჰემპტონი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 023 | ვულვერჰემპტონი-მიდლსბრო | 2,8 | 3,2 | 2,25 | 1,49 | 1,24 | 1,32 |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 024 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXXXIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 070 | ბრედფორდი-უიმბლდონი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 19.00 | 071 | კარდიფი-ბარნლი | 1,75 | 3,4 | 4,0 | 1,15 | 1,21 | 1,83 |
| 19.00 | 072 | კრისტალ პალასი-უიგანი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 19.00 | 073 | დერბი-პრესტონი | 1,75 | 3,3 | 3,5 | 1,14 | 1,16 | 1,69 |
| 19.00 | 074 | ჯილინგემი-იფსვიჩი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 19.00 | 075 | ნორვიჩი-უოლსოლი | 1,4 | 4,0 | 7,0 | 1,03 | 1,16 | 2,54 |
| 19.00 | 076 | ნოტინგემი-მილუოლი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 19.00 | 077 | რედინგი-ქრიუ | 1,6 | 3,4 | 5,3 | 1,08 | 1,22 | 2,07 |
| 19.00 | 078 | როტერჰემი-უოტფორდი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 19.00 | 079 | შეფილდი-სტოკი | 1,6 | 3,4 | 5,3 | 1,08 | 1,22 | 2,07 |
| 19.00 | 080 | ვესტ ჰემი-ქოვენთრი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 20.05 | 081 | სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XXXXIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 16.30 | 098 | ბლექპული-უენსდი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 19.00 | 099 | ბარნსლი-ბრენტფორდი | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,18 | 1,21 | 1,69 |
| 19.00 | 100 | ბორნმუთი-ტრანმერი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 19.00 | 101 | ბრაიტონი-პიტერბრო | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 19.00 | 102 | კოლჩესტერი-რექსემი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 19.00 | 103 | გრიმსბი-რაშდენი | 1,9 | 3,3 | 3,4 | 1,2 | 1,21 | 1,67 |
| 19.00 | 104 | ჰარტლპული-ნოტსი | 1,45 | 3,6 | 5,6 | 1,03 | 1,15 | 2,19 |
| 19.00 | 105 | ლუტონი-ბრისტოლი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,22 | 1,37 |
| 19.00 | 106 | ოლდემი-პლიმუთი | 2,8 | 3,1 | 2,25 | 1,47 | 1,24 | 1,3 |
| 19.00 | 107 | პორტ ვეილი-ჩესტერფილდი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 19.00 | 108 | ქუინზ პარკი-სტოკპორტი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 109 | უიკომბი-სუინდონი | 3,4 | 3,3 | 1,8 | 1,67 | 1,17 | 1,16 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XXXXIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 126 | ბოსტონი-მენსფილდი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 19.00 | 127 | როვერსი-სუონსი | 2,0 | 3,2 | 3,2 | 1,23 | 1,23 | 1,6 |
| 19.00 | 128 | კემბრიჯი-კიდერმინსტერი | 2,0 | 3,2 | 3,2 | 1,23 | 1,23 | 1,6 |
| 19.00 | 129 | კარლაილი-ლინკოლნი | 2,45 | 3,3 | 2,4 | 1,4 | 1,21 | 1,38 |
| 19.00 | 130 | დარლინგტონი-ოქსფორდი | 2,35 | 3,1 | 2,7 | 1,33 | 1,25 | 1,44 |
| 19.00 | 131 | ჰადერსფილდი-სკანთორპი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 19.00 | 132 | მაკლსფილდი-ჰალი | 2,8 | 3,2 | 2,2 | 1,49 | 1,23 | 1,3 |
| 19.00 | 133 | ნორთჰემპტონი-საუთენდი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 19.00 | 134 | როჩდეილი-ლეიტონი | 2,0 | 3,2 | 3,2 | 1,23 | 1,23 | 1,6 |
| 19.00 | 135 | ტორკი-დონკასტერი | 2,15 | 3,2 | 2,9 | 1,28 | 1,23 | 1,52 |
| 19.00 | 136 | იოვილი-ბერი | 1,65 | 3,5 | 4,4 | 1,12 | 1,2 | 1,94 |
| 19.00 | 137 | იორკი-ჩელტენემი | 2,1 | 3,2 | 2,8 | 1,26 | 1,19 | 1,49 |

### ინგლისი. კონფერენსი. XXXXI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 155 | აკრინგტონი-გრეივსენდი | 2,0 | 3,2 | 3,2 | 1,23 | 1,23 | 1,6 |
| 19.00 | 156 | ჩესტერი-სკარბორო | 1,3 | 4,4 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,77 |
| 19.00 | 157 | დაგ ენდ რედი-ჰალიფაქსი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 19.00 | 158 | ფარნბორო-ბარტონი | 2,25 | 3,2 | 2,7 | 1,32 | 1,22 | 1,46 |
| 19.00 | 159 | ფორესტ გრინი-ალდერშოტი | 3,3 | 3,3 | 1,9 | 1,65 | 1,2 | 1,2 |
| 19.00 | 160 | ლეი-ჰერეფორდი | 6,5 | 3,8 | 1,4 | 2,39 | 1,15 | 1,02 |
| 19.00 | 161 | ნორთვიჩი-ბარნეტი | 4,8 | 3,6 | 1,5 | 2,05 | 1,14 | 1,05 |
| 19.00 | 162 | შრიუსბერი-სტივენეიჯი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 19.00 | 163 | ტემუორთი-ექსეტერი | 3,0 | 3,3 | 1,95 | 1,57 | 1,18 | 1,22 |
| 19.00 | 164 | უოკინგი-ტელფორდი | 1,9 | 3,3 | 3,4 | 1,2 | 1,21 | 1,67 |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 17.30 | 165 | მარგეიტი-მორიკომბი | 2,6 | 3,3 | 2,25 | 1,45 | 1,2 | 1,33 |

### გერმანია. ბუნდესლიგა. XXIX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 18.30 | 025 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 18.30 | 026 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.30 | 027 | შალკე-ლევერკუზენი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 18.30 | 028 | დორტმუნდი-ბაიერნი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 18.30 | 029 | მიუნხენი-ჰამბურგი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| 18.30 | 030 | შტუტგარტი-აინტრახტი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 18.30 | 031 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 032 | კიოლნი-ბოხუმი | 2,5 | 3,3 | 2,4 | 1,42 | 1,22 | 1,38 |
| 20.30 | 033 | ვერდერი-ჰანოვერი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |

### იტალია. სერია A. XXX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 034 | სიენა-მილანი | 4,8 | 2,9 | 1,8 | 1,8 | 1,3 | 1,11 |
| 23.30 | 035 | ლეჩე-უდინეზე | 2,4 | 2,9 | 3,0 | 1,31 | 1,33 | 1,47 |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 036 | კიევო-რეჯინა | 2,0 | 2,2 | 4,8 | 1,04 | 1,41 | 1,5 |
| 18.00 | 037 | ემპოლი-ბრეშა | 2,25 | 2,7 | 3,5 | 1,22 | 1,36 | 1,52 |
| 18.00 | 038 | ინტერი-ბოლონია | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| 18.00 | 039 | ლაციო-ანკონა | 1,02 | 7,0 | 17,0 | 1 | 1 | 4,95 |
| 18.00 | 040 | პარმა-იუვენტუსი | 2,8 | 3,0 | 2,45 | 1,44 | 1,3 | 1,34 |
| 18.00 | 041 | სამპდორია-პერუჯა | 1,55 | 3,4 | 5,0 | 1,06 | 1,18 | 2,02 |
| 23.30 | 042 | მოდენა-რომა | 4,8 | 3,0 | 1,75 | 1,84 | 1,28 | 1,1 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XXXIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 048 | ბილბაო-სარაგოსა | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 01.00 | 043 | ატლეტიკო-რეალი | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 044 | დეპორტივო-ვალიადოლიდი | 1,45 | 3,8 | 6,5 | 1.04 | 1,18 | 2,39 |
| 20.30 | 045 | ოსასუნა-ესპანიოლი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1.14 | 1,25 | 1,88 |
| 20.30 | 046 | ალბასეტე-სელტა | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 20.30 | 047 | სევილია-რასინგი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 20.30 | 051 | მალიორკა-ვილიარეალი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 22.30 | 049 | ვალენსია-სოსიედადი | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| 00.30 | 052 | ბარსელონა-მალაგა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |

### შვეიცარია. სუპერლიგა. XXIX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 409 | ბაზელი-ვილი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 22.30 | 410 | გრასჰოპერი-სერვეტი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 22.30 | 411 | სტ.გალენი-აარაუ | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 22.30 | 412 | თუნი-იანგ ბოიზი | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 22.30 | 413 | ქსამაქსი-ციურიხი | 2,6 | 3,3 | 2,35 | 1,45 | 1,23 | 1,37 |

### ხორვატია. 1.HNL. XXVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 19.30 | 607 | ზადარი-ვარტეკსი | 2,15 | 3,2 | 2,9 | 1,28 | 1,23 | 1,52 |
| 19.30 | 608 | მარსონია-ზაგრები | 2,25 | 3,2 | 2,7 | 1,32 | 1,22 | 1,46 |
| 19.30 | 609 | ინტერი-სლავენი | 2,0 | 2,9 | 3,2 | 1,18 | 1,23 | 1,52 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 611 | ჰაიდუკი-ოსიეკი | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| 21.00 | 612 | დინამო-რიეკა | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | | **პოლონეთი. I ლიგა. XIX ტური** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 627 | პოლკოვიცე-გროცლინი | 3,5 | 3,2 | 1,85 | 1,67 | 1,21 | 1,17 |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 21.30 | 628 | ვისლა-ლეგია | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 22.00 | 629 | ლეჩნა-ოდრა | 1,85 | 3,2 | 3,5 | 1,17 | 1,21 | 1,67 |
| 22.00 | 630 | პოლონია-კატოვიცე | 1,8 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,19 | 1,69 |
| 22.00 | 631 | ამიკა-სვიტი | 1,2 | 5,0 | 8,0 | 1 | 1,04 | 3,07 |
| 22.00 | 632 | გურნიკი-პლოცკი | 2,05 | 3,1 | 3,3 | 1,23 | 1,26 | 1,59 |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 20.15 | 633 | ლეხი-ვიძევი | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1,13 | 1,19 | 1,83 |
| | | **ჩილე. აპერტურა. XI ტური** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 669 | სერენა-კობრელოა | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,22 | 1,37 |
| | | **საფრანგეთი. ლიგის თასი. ფინალი** | | | | | | |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 724 | ნანტი-სოშო | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჩეხეთი. თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 732 | პრჟიბრამი-სპარტა | 3,8 | 3,3 | 1,75 | 1,76 | 1,19 | 1,14 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 04.00 | 744 | სტრონგესტი-სან კაეტანო | 2,3 | 3,2 | 2,5 | 1,33 | 1,19 | 1,4 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **16 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 1002 | ფრანკფურტი-აისბარენი | 2,25 | 4,2 | 2,25 | 1,46 | 1,12 | 1,46 |
| | | **კალათბურთი** | | | | | | |
| | | **იტალია** | | | | | | |
| | | **15 აპრილი** | | | | | | |
| 23.30 | 1101 | აველინო-ბენეტონი | 2,6 | 10,0 | 1,3 | 2,06 | 1 | 1,15 |
| 23.30 | 1102 | ლივორნო-ვარეზე | 1,7 | 10,0 | 1,7 | 1,45 | 1 | 1,45 |
| 23.30 | 1103 | რომა-ბიელა | 1,2 | 10,0 | 3,1 | 1,07 | 1 | 2,36 |
| 23.30 | 1105 | მილანი-ნაპოლი | 1,6 | 10,0 | 1,9 | 1,37 | 1 | 1,59 |
| 23.30 | 1107 | უდინე-სკიპერი | 2,3 | 10,0 | 1,4 | 1,86 | 1 | 1,22 |
| 23.30 | 1108 | კალაბრია-კანტუ | 1,6 | 10,0 | 1,9 | 1,37 | 1 | 1,59 |
| 23.30 | 1109 | ტერამო-მესინა | 1,25 | 10,0 | 2,8 | 1,11 | 1 | 2,18 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

CROCO
BOOKMAKERS
**კროკო**

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

**რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო)**
**(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 5215 | არსენალი-ლიდსი | 2,0 | 1,6 |
| 5216 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 1,9 | 1,7 |
| 5217 | ბლექბერნი-ლესტერი | 1,9 | 1,7 |
| 5218 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 1,75 | 1,85 |
| 5219 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 1,75 | 1,85 |
| 5220 | ჩელსი-ევერტონი | 1,95 | 1,65 |
| 5221 | ლივერპული-ფულემი | 1,85 | 1,75 |
| 5222 | სიტი-საუთჰემპტონი | 1,75 | 1,85 |
| 5223 | ვულვერჰემპტონი-მიდლსბრო | 1,8 | 1,8 |
| 5224 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 5225 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 1,85 | 1,75 |
| 5226 | კაისერსლაუტერნი-ჰანზა | 1,9 | 1,7 |
| 5227 | შალკე-ლევერკუზენი | 1,8 | 1,8 |
| 5228 | დორტმუნდი-ბაიერნი | 1,85 | 1,75 |
| 5229 | მიუნხენი-ჰამბურგი | 1,9 | 1,7 |
| 5230 | შტუტგარტი-აინტრახტი | 1,9 | 1,7 |
| 5231 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 2,0 | 1,6 |
| 5232 | კიოლნი-ბოხუმი | 2,0 | 1,6 |
| 5233 | ვერდერი-ჰანოვერი | 2,1 | 1,55 |
| 5234 | სიენა-მილანი | 1,8 | 1,8 |
| 5235 | ლეჩე-უდინეზე | 1,8 | 1,8 |
| 5237 | ემპოლი-ბრეშა | 1,7 | 19 |
| 5238 | ინტერი-ბოლონია | 1,95 | 1,65 |
| 5239 | ლაციო-ანკონა | 2,3 | 1,4 |
| 5240 | პარმა-იუვენტუსი | 1,9 | 1,7 |
| 5241 | სამპდორია-პერუჯა | 1,85 | 1,75 |
| 5242 | მოდენა-რომა | 1,8 | 1,8 |
| 5243 | ატლეტიკო-რეალი | 1,95 | 1,65 |
| 5244 | დეპორტივო-ვალიადოლიდი | 1,95 | 1,65 |
| 5245 | ოსასუნა-ესპანიოლი | 1,7 | 1,9 |
| 5246 | ალბასეტე-სელტა | 1,8 | 1,8 |
| 5247 | სევილია-რასინგი | 1,7 | 1,9 |
| 5248 | ბილბაო-სარაგოსა | 1,85 | 1,75 |
| 5249 | ვალენსია-სოსიედადი | 1,9 | 1,7 |
| 5251 | მალიორკა-ვილიარეალი | 1,75 | 1,85 |
| 5252 | ბარსელონა-მალაგა | 1,95 | 1,65 |

## ჩემპიონები და თასის აღება

**9004**
**ესპანეთი (17.04)**

| | |
|---|---|
| რეალი | 1.7 |
| ვალენსია | 1.7 |
| ბარსელონა | 10.0 |
| დეპორტივო | 30.0 |

**9005**
**საფრანგეთი (18.04)**

| | |
|---|---|
| ლიონი | 1.5 |
| მონაკო | 2.0 |
| პსჟ | 4.0 |

**9010**
**საბერძნეთი (17.04)**

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი | 1.45 |
| ოლიმპიაკოსი | 2.0 |

**9026**
**ჩემპიონთა თასი (20.04)**

| | |
|---|---|
| ჩელსი | 2.3 |
| დეპორტივო | 2.8 |
| პორტუ | 4.0 |
| მონაკო | 5.0 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5015 | არსენალი-ლიდსი | 1,5 | 3,0 | 7,0 | 1 | 1,23 | 2,09 |
| 5016 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 5,0 | 2,15 | 2,15 | 1,5 | 1,5 | 1,07 |
| 5017 | ბლექბერნი-ლესტერი | 2,25 | 2,1 | 4,8 | 1,08 | 1,53 | 1,46 |
| 5018 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5019 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5020 | ჩელსი-ევერტონი | 1,65 | 2,6 | 6,5 | 1 | 1,31 | 1,85 |
| 5021 | ლივერპული-ფულემი | 1,9 | 2,2 | 6,0 | 1,01 | 1,44 | 1,6 |
| 5022 | სიტი-საუთჰემპტონი | 2,35 | 2,1 | 4,4 | 1,1 | 1,53 | 1,42 |
| 5023 | ვულვერჰემპტონი-მიდლსბრო | 3,4 | 2,1 | 2,7 | 1,29 | 1,5 | 1,18 |
| 5024 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5025 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 5026 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 2,4 | 2,1 | 4,2 | 1,12 | 1,52 | 1,4 |
| 5027 | შალკე-ლევერკუზენი | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5028 | დორტმუნდი-ბაიერნი | 3,3 | 2,05 | 3,0 | 1,26 | 1,57 | 1,21 |
| 5029 | მიუნხენი-ჰამბურგი | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 5030 | შტუტგარტი-აინტრახტი | 1,5 | 3,0 | 7,5 | 1 | 1,25 | 2,14 |
| 5031 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 2,3 | 2,1 | 4,6 | 1,09 | 1,53 | 1,44 |
| 5032 | კიოლნი-ბოხუმი | 3,1 | 2,05 | 3,1 | 1,23 | 1,55 | 1,23 |
| 5033 | ვერდერი-ჰანოვერი | 1,6 | 2,6 | 7,0 | 1 | 1,3 | 1,89 |
| 5034 | სიენა-მილანი | 5,0 | 2,0 | 2,2 | 1,42 | 1,52 | 1,04 |
| 5035 | ლეჩე-უდინეზე | 2,9 | 2,0 | 3,5 | 1,18 | 1,58 | 1,27 |
| 5037 | ემპოლი-ბრეშა | 2,8 | 1,95 | 3,8 | 1,14 | 1,61 | 1,28 |
| 5038 | ინტერი-ბოლონია | 1,7 | 2,5 | 6,5 | 1,01 | 1,34 | 1,8 |
| 5039 | ლაციო-ანკონა | 1,1 | 4,2 | 10,0 | 1 | 1 | 2,95 |
| 5040 | პარმა-იუვენტუსი | 3,5 | 2,05 | 2,8 | 1,29 | 1,55 | 1,18 |
| 5041 | სამპდორია-პერუჯა | 1,9 | 2,15 | 5,6 | 1 | 1,41 | 1,55 |
| 5042 | მოდენა-რომა | 5,0 | 2,0 | 2,2 | 1,42 | 1,52 | 1,04 |
| 5043 | ატლეტიკო-რეალი | 4,2 | 2,05 | 2,45 | 1,37 | 1,54 | 1,11 |
| 5044 | დეპორტივო-ვალიადოლიდი | 1,75 | 2,4 | 6,0 | 1,01 | 1,35 | 1,71 |
| 5045 | ოსასუნა-ესპანიოლი | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 5046 | ალბასეტე-სელტა | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,18 | 1,52 | 1,31 |
| 5047 | სევილია-რასინგი | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,11 | 1,54 | 1,37 |
| 5048 | ბილბაო-სარაგოსა | 2,35 | 2,1 | 4,4 | 1,1 | 1,53 | 1,42 |
| 5049 | ვალენსია-სოსიედადი | 1,7 | 2,45 | 6,5 | 1 | 1,34 | 1,77 |
| 5051 | მალიორკა-ვილიარეალი | 2,5 | 2,1 | 3,8 | 1,14 | 1,5 | 1,35 |
| 5052 | ბარსელონა-მალაგა | 1,75 | 2,35 | 6,5 | 1 | 1,37 | 1,72 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5515 | არსენალი-ლიდსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | ბლექბერნი-ლესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | ჩელსი-ევერტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | ლივერპული-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | სიტი-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5523 | ვულვერჰემპტონი-მიდლსბრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5524 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5525 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5526 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5527 | შალკე-ლევერკუზენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5528 | დორტმუნდი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | მიუნხენი-ჰამბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | შტუტგარტი-აინტრახტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5531 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5532 | კიოლნი-ბოხუმი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5533 | ვერდერი-ჰანოვერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5534 | სიენა-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5535 | ლეჩე-უდინეზე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5537 | ემპოლი-ბრეშა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5538 | ინტერი-ბოლონია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5540 | პარმა-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5541 | სამპდორია-პერუჯა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5542 | მოდენა-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5543 | ატლეტიკო-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5544 | დეპორტივო-ვალიადოლიდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5545 | ოსასუნა-ესპანიოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5546 | ალბასეტე-სელტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5547 | სევილია-რასინგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5548 | ბილბაო-სარაგოსა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5549 | ვალენსია-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5550 | მურსია-ბეტისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5551 | მალიორკა-ვილიარეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5552 | ბარსელონა-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5415 | არსენალი-ლიდსი | 1,3 | 3,2 |
| 5416 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 2,5 | 1,55 |
| 5417 | ბლექბერნი-ლესტერი | 1,65 | 2,3 |
| 5418 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 1,75 | 3,1 |
| 5419 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 1,75 | 2,1 |
| 5420 | ჩელსი-ევერტონი | 1,3 | 3,2 |
| 5421 | ლივერპული-ფულემი | 1,4 | 3,0 |
| 5422 | სიტი-საუთჰემპტონი | 1,7 | 2,2 |
| 5423 | ვულვერჰემპტონი-მიდლსბრო | 2,0 | 1,8 |
| 5424 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 1,85 | 1,95 |
| 5425 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 1,8 | 2,0 |
| 5426 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1,7 | 2,2 |
| 5427 | შალკე-ლევერკუზენი | 1,8 | 2,0 |
| 5428 | დორტმუნდი-ბაიერნი | 1,95 | 1,85 |
| 5429 | მიუნხენი-ჰამბურგი | 1,8 | 2,0 |
| 5430 | შტუტგარტი-აინტრახტი | 1,25 | 3,4 |
| 5431 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 1,65 | 2,3 |
| 5432 | კიოლნი-ბოხუმი | 1,95 | 1,85 |
| 5433 | ვერდერი-ჰანოვერი | 1,3 | 3,4 |
| 5434 | სიენა-მილანი | 2,3 | 1,65 |
| 5435 | ლეჩე-უდინეზე | 1,85 | 1,95 |
| 5437 | ემპოლი-ბრეშა | 1,8 | 2,0 |
| 5438 | ინტერი-ბოლონია | 1,3 | 3,4 |
| 5440 | პარმა-იუვენტუსი | 1,95 | 1,85 |
| 5441 | სამპდორია-პერუჯა | 1,45 | 2,8 |
| 5442 | მოდენა-რომა | 2,4 | 1,6 |
| 5443 | ატლეტიკო-რეალი | 2,0 | 1,8 |
| 5444 | დეპორტივო-ვალიადოლიდი | 1,35 | 3,2 |
| 5445 | ოსასუნა-ესპანიოლი | 1,65 | 2,3 |
| 5446 | ალბასეტე-სელტა | 1,85 | 1,95 |
| 5447 | სევილია-რასინგი | 1,8 | 2,0 |
| 5448 | ბილბაო-სარაგოსა | 1,7 | 2,2 |
| 5449 | ვალენსია-სოსიედადი | 1,3 | 3,4 |
| 5451 | მალიორკა-ვილიარეალი | 1,75 | 2,1 |
| 5452 | ბარსელონა-მალაგა | 1,35 | 3,2 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5315 | არსენალი-ლიდსი | 1,8 | 1,8 |
| 5316 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 1,7 | 1,9 |
| 5317 | ბლექბერნი-ლესტერი | 1,7 | 1,9 |
| 5318 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 1,7 | 1,9 |
| 5319 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 1,7 | 1,9 |
| 5320 | ჩელსი-ევერტონი | 1,85 | 1,75 |
| 5321 | ლივერპული-ფულემი | 1,75 | 1,85 |
| 5322 | სიტი-საუთჰემპტონი | 1,75 | 1,85 |
| 5323 | ვულვერჰემპტონი-მიდლსბრო | 1,7 | 1,9 |
| 5324 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 5325 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 1,6 | 2,0 |
| 5326 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1,6 | 2,0 |
| 5327 | შალკე-ლევერკუზენი | 1,6 | 2,0 |
| 5328 | დორტმუნდი-ბაიერნი | 1,6 | 2,0 |
| 5329 | მიუნხენი-ჰამბურგი | 1,6 | 2,0 |
| 5330 | შტუტგარტი-აინტრახტი | 1,75 | 1,85 |
| 5331 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 1,65 | 1,95 |
| 5332 | კიოლნი-ბოხუმი | 1,6 | 2,0 |
| 5333 | ვერდერი-ჰანოვერი | 1,75 | 1,85 |
| 5334 | სიენა-მილანი | 1,65 | 1,95 |
| 5335 | ლეჩე-უდინეზე | 1,65 | 1,95 |
| 5337 | ემპოლი-ბრეშა | 1,65 | 1,95 |
| 5338 | ინტერი-ბოლონია | 1,7 | 1,9 |
| 5340 | პარმა-იუვენტუსი | 1,65 | 1,95 |
| 5341 | სამპდორია-პერუჯა | 1,65 | 1,95 |
| 5342 | მოდენა-რომა | 1,65 | 1,95 |
| 5343 | ატლეტიკო-რეალი | 1,6 | 2,0 |
| 5344 | დეპორტივო-ვალიადოლიდი | 1,7 | 1,9 |
| 5345 | ოსასუნა-ესპანიოლი | 1,65 | 1,95 |
| 5346 | ალბასეტე-სელტა | 1,65 | 1,95 |
| 5347 | სევილია-რასინგი | 1,65 | 1,95 |
| 5348 | ბილბაო-სარაგოსა | 1,65 | 1,95 |
| 5349 | ვალენსია-სოსიედადი | 1,75 | 1,85 |
| 5351 | მალიორკა-ვილიარეალი | 1,65 | 1,95 |
| 5352 | ბარსელონა-მალაგა | 1,7 | 1,9 |

| 1-ლი | ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5115 | არსენალი-ლიდსი | 1,6 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5116 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 5117 | ბლექბერნი-ლესტერი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5118 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5119 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5120 | ჩელსი-ევერტონი | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5121 | ლივერპული-ფულემი | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5122 | სიტი-საუთჰემპტონი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5123 | ვულვერჰემპტონი-მიდლსბრო | 4,2 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 5124 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5125 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5126 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5127 | შალკე-ლევერკუზენი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5128 | დორტმუნდი-ბაიერნი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5129 | მიუნხენი-ჰამბურგი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5130 | შტუტგარტი-აინტრახტი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5131 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5132 | კიოლნი-ბოხუმი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5133 | ვერდერი-ჰანოვერი | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5134 | სიენა-მილანი | 7,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 5135 | ლეჩე-უდინეზე | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,2 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5137 | ემპოლი-ბრეშა | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,2 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5138 | ინტერი-ბოლონია | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5140 | პარმა-იუვენტუსი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,2 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5141 | სამპდორია-პერუჯა | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5142 | მოდენა-რომა | 7,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 5143 | ატლეტიკო-რეალი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 5144 | დეპორტივო-ვალიადოლიდი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5145 | ოსასუნა-ესპანიოლი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5146 | ალბასეტე-სელტა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5147 | სევილია-რასინგი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5148 | ბილბაო-სარაგოსა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5149 | ვალენსია-სოსიედადი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5151 | მალიორკა-ვილიარეალი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5152 | ბარსელონა-მალაგა | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |



# სტეფანიამ ჩაიმუხლა

## ძველი ტრავმა იტალიაში არ უშვებს

*„პორტლენდში" გადასვლა ვერ გამოდგა იღბლიანი ვლადიმერ სტეფანიასთვის. ქართველი გოლიათი თავიდან კარგ ხასიათზე იყო, გეგმებსაც აწყობდა, თუმც ჯერ მის გუნდში მისულმა ცენტრმა თეო რეთლიფმა დასვა იგი სკამზე, მერე კი ქრონიკულად მტკივან მუხლზე ოპერაციაც დასჭირდა. სადღეისოდ სტეფანიასთვის სეზონი დასრულებულია. ჯერ ერთი, მუხლს მკურნალობს, თანაც „პორტლენდი" პლეი ოფს მიღმა დარჩა. ბუნებით მშვიდ სტეფანიას მაინც შერჩა ოპტიმიზმი და მომავლის ეიმედება...*

— ჯერ ვერ ვარ ჯანზე, მუხლს ისევ ვებრძვი, საბოლოოდ არ მომშუშებია — გვითხრა სტეფანიამ გუშინ, სიეტლში რომ დავუკავშირდით — თუმც იმედი მაქვს, მალე გამოვჯანმრთელდები და მოედანს დავუბრუნდები.

— ეგ მუხლი შენ კარგა ხანია, გაწუხებს, 3 წლის წინაც გაიკეთე ოპერაცია, მაგრამ...

— ოპერაცია მაშინაც კარგად გამიკეთეს, უბრალოდ, სარეაბილიტაციო პერიოდში დავუშვი შეცდომები, უფრო სწორად, ექიმებმა ვერ მომხედეს სათანადოდ. მაშინ კონტრაქტი არ მქონდა, საკუთარი სახსრებით დამჭირდა მკურნალობა და მაღალი დონის სპეციალისტებთანაც ვერ მივედი. ახლა „პორტლენდია" პასუხისმგებელი და სულ რჩეული ექიმები მკურნალობენ.

— და საბოლოოდ გადაჭრი მუხლის პრობლემას?

— ასე მგონია, თუმც დარწმუნებული არ ვარ. წინა ოპერაციის შემდეგაც სახსარი საღი იყო, უბრალოდ, თავად მუხლში გაჩნდა რაღაც კვანძი, რომელიც მტკიოდა და მთელი დატვირთვით თამაშის საშუალებას არ მაძლევდა. ახლა ვიცი, როგორც უნდა მოვუარო მუხლს, აღარაფერი შემეშლება. ისე მაინც უნდა მოვახერხო, რომ 4-5 წელი მუხლმა აღარ შემაწუხოს, მერე კი ალბათ კარიერასაც დავასრულებ.

— კარიერის დასრულებას ალბათ ისე არ აპირებ, პლეი ოფში არ ითამაშო. „პორტლენდს" წლეულს არ გაუმართლა, სეზონი შენთვის დასრულებულია. ახლა რას აპირებ?

— ჯერ მხოლოდ ფეხის მკურნალობაზე ვფიქრობ, მაისის ბოლოს ალბათ სირბილსაც შევძლებ და ვარჯიშს შევუდგები.

— ისევ „პორტლენდში" აპირებ დარჩენას? ბოლოს სულ არ გიწევდა თამაში...

— წასვლა მინდა, კონტრაქტიც ისეა შედგენილი, თუ მოვინდომებ, ვერავინ შემაკავებს. უბრალოდ, ხელსაყრელი ვარიანტის გამონახვა მინდა, რაზეც ჯერ ადრეა ლაპარაკი. ჯერ ვარჯიში უნდა დავიწყო, ფორმა აღვიდგინო და მერე ალბათ ზაფხულში დავიწყებ სხვადასხვა გუნდთან მოლაპარაკებას. ასე 2-3 მილიონიანი კონტრაქტიც დამაკმაყოფილებდა. თუ საპლეიოფო ამბიციის გუნდი იქნება, მთლად უკეთესი.

— ზაფხულშია საქართველოს ნაკრების შეკრება და იტალიური ტურნირიც. ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა, სტეფანია ჩამოვაო...

— დღეს დარწმუნებით ვერ ვიტყვი, იტალიურ ტურნირზე სათამაშოდ ჩავალ თუ ვერა, სექტემბრის საკვალიფიკაციო მატჩებზე კი ნაღდად ვიქნები. იტალიაში ჩასვლა ძალიან მინდა, მაგრამ ამაში შეიძლება ტრავმამ, ანაც აქაურმა მოუგვარებელმა საქმეებმა შემიშალოს ხელი. თუმც, ეს ვარაუდია, ისე კი გადაწყვეტილი მაქვს, ნაკრებს იტალიაში გავყვე. ევროპაში მაგ პერიოდში მაინც ჩამოსასვლელი ვარ, სლოვენიაში სახლს უნდა მივხედო, პატარ-პატარ საქმეები თავზე საყრელად მაქვს.

— გუშინ შენი, ფაჩულიას და ცქიტიშვილის გამოგზავნილი სპორტული ინვენტარი თქვენს პირველ მასწავლებლებს გადასცეს. ამერიკის ელჩმა რიჩარდ მაილსმა შენი წილი საჩუქრები მამაშენს ჩააბარა...

— რად უნდა მამაჩემს ბურთები და ტრუსები? ტვირთის ადრესატად მე ჯამლეთ ხუხაშვილი ჩავწერე, ის არ დასწრებია მაგ ღონისძიებას?

— გუშინ ბატონი ჯამლეთის 60 წლის იუბილე იყო, თამაში ჰქონდა და „მაკაბის" „რუსთავის" წინააღმდეგ უძღვებოდა...

— ალბათ მაგიტომ ვერ მოვიდა, თორემ მე ბატონ ჯამლეთს გამოვუგზავნე სპორტული საქონელი, ჩემი პირველი მასწავლებელი ხომ ის იყო, თუმც მას შემდეგ ბევრი მწვრთნელის ხელში გამოვიარე. მინდა, ბატონ ჯამლეთს იუბილე მივულოცო, ნაღდად არ მეგონა 60 წლის თუ გახდა, მე ის ბევრად ახალგაზრდა დავტოვე.

**ირაკლი პერტაია**

# ვარსკვლავები ვერის ბაღში

29 მაისს ვერის ბაღში მდებარე მიხეილ კეკელიძის სახელობის საკალათბურთო დარბაზში გაიმართება „საქართველოს ვარსკვლავთა მატჩი", რომელიც შედგება შემდეგი შეჯიბრებებისგან:

— კონკურსი სამქულიანების სროლაში
— კონკურსი ჩატენვებში
— მინი-ტურნირი „ქალი, ვაჟი, ვეტერანი"
— „ვარსკვლავთა მატჩი"

მოთამაშეები და მწვრთნელები შეირჩევიან გულშემატკივართა გამოკითხვით, რომელსაც ჩაატარებენ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პარტნიორი გამოცემები — „სარბიელი", „ოლიმპი" და „მთავარი გაზეთი სპორტი".

**პრეტენდენტი მოთამაშეები დასახელებულია სამ ამპლუაში**

**უკანა ხაზი**

ირაკლი ხოშტარია (დინამო)
კოტე ტულუში (დინამო)
არჩილ ჟღენტი (დინამო)
რამაზ გოგობერიშვილი (დინამო)
გიორგი გამყრელიძე (დინამო)
ირაკლი ბერიშვილი (ბასკო)
დავით ბერიშვილი (ბასკო)
ბუბა ბერიშვილი (ბასკო)
გიორგი ნიკოლაძე (სტუ-ჯეოსელი)
შიო ხეცურიანი (სტუ-ჯეოსელი)
დავით თორთლაძე (თსუ)
ირაკლი საყვარელიძე (თსუ)
ირაკლი მაისურაძე (თსუ)
მამუკა აბრამიძე (თსუ)
ზაზა გაბისონია (რუსთავი)
დავით არწივიძე (რუსთავი)
გოჩა წოწელია (მაკაბი)
ირაკლი სორდია (სსუ)

**ფორვარდები**

ვლადიმერ ბეჟანიშვილი (დინამო)
ვახტანგ მინაშვილი (დინამო)
ლაშა ლოსაბერიძე (დინამო)
ირაკლი კეიდია (დინამო)
ლაშა კეშელავა (ბასკო)
ნიკა ჩხატარაშვილი (ბასკო)
ჟოლივეტ ტუჯანი (ბასკო)
გიორგი მარკოიშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ზვიად ბაბიაშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ლუკა შანიძე (სტუ-ჯეოსელი)
ამროსი ორმოცაძე (თსუ)
გიგი ნაცვლიშვილი (თსუ)
ლევან ტყეშელაშვილი (რუსთავი)
მიხეილ ბერუაშვილი (რუსთავი)
ვასილ ოთიურიძე (მაკაბი)
ვლადიმერ სუხიშვილი (მაკაბი)

**ცენტრები**

დავით მუშკუდიანი (დინამო)
ივანე აბულაძე (დინამო)
ვალერი კილაძე (დინამო)
დავით ბერძენიშვილი (ბასკო)
დავით იმნაძე (ბასკო)
პლასიდე როდუმტა (ბასკო)
ირაკლი ჯაფარიძე (სტუ-ჯეოსელი)
არმენ ოგასენიანი (სტუ-ჯეოსელი)
გულივერ ახალკაცი (სტუ-ჯეოსელი)
კახა შენგელია (თსუ)
დავით ერქვანია (სსუ)
ვიქტორ კოლუაშვილი (ქუთაისი)

**მწვრთნელები**

ნუგზარ კანდელაკი (ბასკო)
დრაჟენ ბრაიკოვიჩი (დინამო)
ნუგზარ ჭეიშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ოთარ ხმელიძე (რუსთავი)
ზაურ დოლაბერიძე (ქუთაისი)
მამუკა ტურაშვილი (თსუ)
ჯამლეტ ხუხაშვილი (მაკაბი)
ვაჟა კვარაცხელია (სსუ)
ვაჟა მხეიძე (მაკაბი)
ზურაბ ტომარაძე (დინამო)
დავით უსტიაშვილი (დინამო)
გია ჯავახიშვილი (თსუ)
ვალერი ალთაბაევი (სსუ)
დავით რიბაშვილი (ბასკო)
ნიკო ჩერქეზიშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ბადრი კიკვიძე (რუსთავი)
შოთა ჯავახიშვილი (ქუთაისი)

**ანკეტა**

უკანახაზელი ____________
ფორვარდი ____________
ცენტრი ____________
მწვრთნელი ____________

შეავსეთ ანკეტა თქვენს მიერ არჩეული კალათბურთელებით (თითო ამპლუაში თითო მოთამაშე) და მწვრთნელით და მიიტანეთ ან ფოსტით გააგზავნეთ შემდეგ მისამართზე: ალ. ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული, „სარბიელი"

ყველაზე მეტი ხმის მიმღები 12-12 კალათბურთელი ორ გუნდში შემდეგი პრინციპით გადანაწილდება: პირველ გუნდში ითამაშებენ ჩემპიონატში I, IV, V, VIII ადგილებზე გასული კლუბების კალათბურთელები, მეორეში II, III, VI, VII ადგილზე გასულთა მოთამაშეები.

გუნდებს უხელმძღვანელებს ყველაზე მეტი ხმის მიმღები ოთხი მწვრთნელი.

**გამოკითხვა შეწყდება 20 მაისს**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

13 აპრილი

**ტორონტო 87:78 დეტროიტი**

ტორონტო: მარშალი (27 ქულა, 16 მოხსნა), კარტერი (19)
დეტროიტი: პრინსი (21), ბ. ვოლესი (15)

**დალასი 110:103 მემფისი**

დალასი: დანიელსი (30), ნეში (25), ჯემისონი (18)
მემფისი: ველსი (27)

**ლეიკერსი 109:104 გოლდენ სტეიტი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (45), ონილი (23 ქულა, 13 მოხსნა)
გოლდენ სტეიტი: რობინსონი (22), კარდინალი (20), პიეტრუსი (20)

**ფინიქსი 96:98 კლიპერსი**

ფინიქსი: სტუდემაიერი (29 ქულა, 14 მოხსნა), მერიონი (24 ქულა, 10 მოხსნა), ბარბოსა (17)
კლიპერსი: ბრენდი (30 ქულა, 11 მოხსნა, 5 დაფარება), ვილკოქსი (24 ქულა, 13 მოხსნა)




REUTERS ლოს ანჯელესიდან

კობი ბრაიანტმა „გოლდენ სტეიტს" 45 ქულა ჩაუგდო

# მესამე და სამართალი?

## რაგბის კავშირს ისევ მიადგა ყრილობა

დღეს 11 საათზე ქართული სარაგბო თემი ერთხელაც შეიკრიბება სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში და წინამძღოლის არჩევას წლეულს უკვე მესამედ შეეცდება. ამჯერად ქვორუმი კიდევ უფრო შემცირდა და თუ 29 მარტის რიგგარეშე ყრილობაზე გადაწყვეტილების მისაღებად ხმის უფლების მქონე დელეგატთა ორი მესამედის გამოცხადება იყო საჭირო, ახლა ამ საქმეს ნახევარიც მოაგვარებს.

26 იანვრის ყრილობაზე ხმის უფლება 11 სუბიექტს ჰქონდა, სულ კი 28 ხმა გროვდებოდა. ერთხელაც შეგახსენებთ, რომ მაშინ რაგბის კავშირის მოქმედ პრეზიდენტ ბიძინა გეგიძესა და მის ერთადერთ კონკურენტ მერაბ ანთაძეზე ხმები თანაბრად გადანაწილდა და მომდევნო რიგგარეშე ყრილობამდე თანამდებობა გეგიძემ შეინარჩუნა. სიტყვიერი გარიგებით, რიგგარეშე ყრილობა მაისისთვის დაინიშნა, თუმცა ეს ოფიციალურად არ გაფორმებულა და ანთაძის მხარდამჭერმა კლუბებმა რაგბის კავშირის ხუთკაციან გამგეობას კრების 29 მარტისთვის ჩატარება სთხოვეს. გამგეობამაც მიიღო გადაწყვეტილება და პირველი რიგგარეშე ყრილობაც ჩატარდა. თუმც ბიძინა გეგიძის მომხრეები მასზე არ გამოცხადნენ და არჩევნების ჩასატარებლად საჭირო 19 ხმაც არ მოგროვდა.

რაგბის კავშირის საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ რობიტაშვილის სიტყვებს თუ ვენდობით, მაშინ დღევანდელ რიგგარეშე ყრილობაზე 14 ხმაც საკმარისი უნდა იყოს (იხილეთ 1 აპრილის „სარბიელი), ოპონენტები კი ქვორუმად 15 ხმას მიიჩნევენ. პოზიცია-ოპოზიციას შორის მორიგი სადავო საკითხი ვეტერანი მორაგბეებისთვის 26 იანვრის ყრილობაზე ერთი ხმის მიცემაა. ამას არც ერთი მხარე არ უარყოფს, მაგრამ რობიტაშვილის თქმით, ამ ხმის გამოყენების უფლება ვეტერანებს მომავალ წლამდე არა აქვთ. თუ ამ მოსაზრებას ვენდობით, დღეს არჩევნების ჩასატარებლად 14 ხმაც საკმარისი იქნება, ხოლო თუ ვეტერანთა ხმასაც მივათვლით, 15 უნდა შეგროვდეს.

სიტუაციაში უკეთ გარკვევა რაგბის კავშირის წესდების ერთ-ერთ ავტორს, იურისტ გოჩა სვანიძეს ვთხოვეთ:

**— ბოლოს და ბოლოს რამდენი ხმის უფლების მქონე დელეგატი უნდა მოგროვდეს, არჩევნები რომ ჩატარდეს?**

— სუბიექტთა ან ხმის უფლების მქონე დელეგატთა ნახევარი. მაშასადამე ან 6 სუბიექტი, ანაც ხმის უფლების მქონე 15 ადამიანი.

**— ესე იგი ხმის მიცემა ვეტერანებსაც შეეძლებათ?**

— რა თქმა უნდა.

**— მაგრამ კავშირში გვითხრეს, რომ ვეტერანებს მინიჭებული ხმის გამოყენება წლევანდელ რიგგარეშე ყრილობებზე არ შეუძლიათ...**

— არავითარ შემთხვევაში. ვეტერანი მორაგბეები უკვე ნამდვილი წევრები არიან. ეს ერთი ხმა 26 იანვრის ყრილობაზე დავუმტკიცეთ და მისი გამოყენება უკვე 29 მარტის რიგგარეშე ყრილობაზე შეეძლოთ. ასე რომ, ვეტერანებს სრული უფლება აქვთ, მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა.

**— თუ ქვორუმი ისევ არ შედგა, რამდენ ხანში უნდა გაიმართოს მორიგი რიგგარეშე ყრილობა?**

— ეს უკვე კავშირის ან გამგეობის გადასაწყვეტი იქნება.

**— ქვორუმიც კიდევ შემცირდება?**

— არა. ქვორუმი ნახევარზე დაბლა არ ჩამოვა.

**— უნივერსიტეტის ხმებზე დიდი დაპირისპირებაა. ამ კლუბის პოზიციას ვინ დააფიქსირებს?**

— ვერ გეტყვით. ეს უნივერსიტეტის შიდა პრობლემაა და თავად მოაგვარებენ.

**— ბოლოს, თქვენი პროგნოზით, ჩატარდება თუ არა არჩევნები?**

— თუ საქმე მუშტი-კრივამდე არ მივიდა, ალბათ აუცილებლად ჩატარდება.



ბაჩო კორძაიას ფოტო

გოჩა სვანიძე

*ჩვენთვის უცნობია, ბიძინა გეგიძე და მისი მხარდამჭერები აპირებენ დღეს სპორტის დეპარტამენტის დარბაზში მისვლას, თუ 29 მარტის მსგავსად, კვლავ ერთი მხარე იმსჯელებს. ასევე გაურკვეველია, რამდენი სუბიექტი და ხმის უფლების მქონე დელეგატი მოგროვდება.*

**ოთარ მაღლაკელიძე**

# დავიცვათ თამაშის წესები



ბაჩო კორძაიას ფოტო

*ქართულ რაგბიში კარგა ხნის წინ გაიყო აზრები. სარაგბო თემის არა ერთი წარმომადგენელი გამოთქვამს რაგბის კავშირისა და მისი პრეზიდენტის ბიძინა გეგიძის საქმიანობით უკმაყოფილებას. ირაკლი იმნაძე, კლუბ „არმაზის" მთავარი მწვრთნელი ერთი ამათგანი გახლავთ. თავისი აზრების გამოსათქმელად ის გუშინ რედაქციაში გვესტუმრა*

## ირაკლი იმნაძე: ნუ შეურაცხყოფენ ხალხს, ვინც მთელი ცხოვრება რაგბის შესწირა

**— ქართულ რაგბიში სადღეისოდ დაძაბული და გაურკვეველი ვითარებაა. თქვენი აზრით, რაში უნდა ვეძებოთ ამის მიზეზები?**

— მიზეზები სათავეში უნდა ვეძიოთ. რაგბის კავშირმა და უწინარესად პრეზიდენტმა უნდა იცოდნენ, როგორ მიხედონ პრობლემებს და როგორ მოაწესრიგონ მდგომარეობა. კავშირმა პირველ რიგში კლუბების ინტერესების დაცვაზე უნდა იფიქროს, რადგანაც ის სწორედაც კლუბების კავშირია.

**— ბევრ კლუბს დღეს პრეტენზია აქვს კავშირთან.**

— დიახ, ასეა. ეს 26 იანვრის ყრილობაზეც გამოჩნდა, სადაც კლუბების ნახევარმა მხარი არ დაუჭირა ბიძინა გეგიძის კანდიდატურას. რაც შეეხება ზოგიერთ კლუბს, არჩევნებამდე მათთან ფარული გარიგებები მოხდა. ბევრს შეიძლება არც უნდა, მხარი დაუჭიროს, მაგრამ, თავისი კეთილდღეობიდან გამომდინარე, საკუთარი აზრის გამოთქმას ერიდება.

საერთოდაც, საკმარისია, კაცმა კავშირზე თბილი სიტყვა თქვას, რაიმე თანამდებობა ან რომელიმე ნაკრებში ადგილი გარანტირებული აქვს. ხოლო თუ შენი აზრი მათსას არ ემთხვევა, ესე იგი „განაწყენებული კაცი" ხარ და „ბოლმა გალაპარაკებს".

ბიძინა გეგიძის ინტერესი არც მე მაქვს და არც სხვებს. ლაპარაკი რაგბის შველაზეა. უკან დასახევი გზა მოჭრილია. ჩვენს გაშლილ სუფრაზე უნდათ მოსვლაო, ამბობენ. ამ დროს კი თავად სხედან ნასუფრალზე და დარდიმანდობას იბრალებენ. ნეტავ, ამ სუფრაზე რამის დადება მართლა შეეძლოთ.

**— მოდით, ისევ არჩევნებს დავუბრუნდეთ. როგორ ფიქრობთ, რატომ არ გამოცხადდა გეგიძე 29 მარტის განმეორებით ყრილობაზე?**

— ეს განსხვავებული აზრის მქონეთა არად ჩაგდების დემონსტრირება იყო. მასთან დაპირისპირებული გუნდის შესახებ ბატონი გეგიძე საერთოდ აგდებულად საუბრობს და მას „ეგრეთ წოდებული ოპოზიციის" სახელით მოიხსენიებს. ის ამბობს, რომ არსებობს საფრთხე, ჩემი და ჩემი თანაგუნდელების მიერ შექმნილი ფასეულობები დაინგრესო. ასეთი განცხადებებით ის იგნორირებას უკეთებს და შეურაცხყოფს იმ ხალხს, ვინც მთელი ცხოვრება რაგბის შესწირა. რა ფასეულობებზეა საუბარი, როცა ის თავად არღვევს რაგბის მთავარ პრინციპს და მეტოქეს უპატივცემლოდ ეპყრობა. ამგვარი თემებით სპეკულირება არ შეიძლება. ღვაწლს არავის ვუკარგავ, მაგრამ ნაკრების წარმატებები და მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლა უწინარესად იმ მწვრთნელებისა და კლუბების დამსახურებაა, ეს ბიჭები რომ გაზარდეს. როგორც ჩანს, გეგიძეს განდიდების მანია შეეყარა — ამბობს, თუ რეალური, სოლიდური ძალა გამოჩნდება, რომელსაც საფუძვლიანი არგუმენტები ექნება და სარაგბო საზოგადოების ნდობაც, მზად ვარ ასპარეზის დასათმობად, მაგრამ ასეთ კონკურენტიან ძალას მე ვერ ვხედავო.

**— კონკრეტულად მაინც რა არ გაკმაყოფილებთ კავშირის და პრეზიდენტის საქმიანობაში?**

— გეგიძე ხშირად ამბობს, კავშირში აბსოლუტურად კომპეტენტური და კეთილსინდიერი ხალხი მუშაობსო. მათ კეთილსინდიერებას ახლა არ შევეხები, მოდით კომპეტენტურობაზე ვისაუბროთ. სხვა თუ არაფერი, კავშირს შეჯიბრის ორგანიზება ხომ მაინც ევალება?! ამათ კი 85-86 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა A ლიგის დებულება ვერ დაწერეს, ტურნირი ნორმალურად რომ ჩაეტარებინათ. ეს დებულება შეჯიბრის მსვლელობაში გზადაგზა იცვლებოდა. ასეთი „კომპეტენტურობის" მაგალითები კავშირის მოხელეთა საქმიანობაში უცხო ხილი სულაც არ არის.

**— გეგიძე თავის უმთავრეს პრიორიტეტად ყოველთვის ეროვნულ ნაკრებს და არა კლუბებს ასახელებდა...**

— როცა პრეზიდენტად მოდიოდა, ის არა მარტო ნაკრებზე აკეთებდა აქცენტს და ბევრი სხვა სფეროს წამოწევასაც გვპირდებოდა. ახლა კი პრიორიტეტად მხოლოდ ნაკრებს ასახელებს, ხოლო ბავშვთა რაგბი და შიდა ჩემპიონატი მიუხედავი დარჩა. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ გეგმაზომიერი მუშაობა არც სანაკრებო დონეზე მიდის. 18-19-წლამდელები ისე წავიდნენ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, ერთი ნორმალური შეკრება არ გაუვლიათ. 18-წლამდელთა ნაკრებმა იტალიაში გამგზავრებამდე სამი კვირა მაუდკამვოლის უბალახო მოედანზე ივარჯიშა და რამდენიმე მორაგბე ისე დაიმტვრა, შემადგენლობიდან ამოვარდა. ქართული რაგბის ხვალინდელი დღე ეს ბიჭები არიან და პირველ რიგში მათ უნდათ მიხედვა.

**— დიახ, მაგრამ ვერც იმას უარყოფთ, რომ ეროვნულმა ნაკრებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია.**

— ჩემი აზრით, ამ წარმატებების შეფასებაშიც მეტი ზომიერება გვმართებს. ერთხანს ყველამ აიტაცა მოსაზრება, თითქოს ევროპის მეშვიდე გუნდი გვყავდა. ამაზე პრესაშიც არაერთგზის დაიწერა. რეალურად კი რუმინეთზე ძლიერები არასოდეს ვყოფილვართ. მათ ერთადერთი თამაში მოვუგეთ, ისიც მაშინ, როცა იქაურ მორაგბეებსა და რაგბის კავშირს შორის დაპირისპირება იყო. სამწუხაროდ, რუმინელებს ვერც შევედრებით. სხვას რომ თავი დავანებოთ, მათ ჩვენთან შედარებით არნახული პირობები აქვთ. ნაკრებს კი არა, სავარჯიშო მოედნები წამყვან რუმინულ კლუბებსაც არ აკლიათ. ჩვენმა კავშირმა კი — უკვე მეათე წელი მიდის და — ერთიც ვერ მონახა.

მხოლოდ რუსეთს ვუგებთ და თუ ასე გაგრძელდა ესეც სანატრელი გაგვიხდება. მათ ბავშვთა რაგბიში დიდი ფული ჩადეს და მომავალში ეს ნაყოფსაც გამოიღებს. აგერ, ევროპის ჩემპიონატზე მათმა 18-წლამდელებმა ჩვენებს 14:3 მოუგეს.

**— ამ მხრივ რა მდგომარეობაა ჩვენს ბავშვთა რაგბიში?**

— ბავშვთა რაგბი დღევანდელობის უმთავრესი პრობლემაა და მას რაც შეიძლება, მალე უნდა მიეხედოს. საამისოდ ფინანსებთან ერთად კარგი სპეციალისტებია საჭირო. რაგბის კავშირში კი ბავშვთა გუნდის მწვრთნელობისთვის საჭირო ლიცენზიას სულ რაღაც ერთთვიანი მოსამზადებელი კურსის გავლის შემდეგ იძლევიან. ამას რომ თავი დავანებოთ, ბავშვების აღზრდას საფრანგეთიდან ჩამოსული მოძველებული მეთოდებით ცდილობენ.

საფრანგეთიდანვე ჩამოვიდა საფესტივალო პროგრამაც ბავშვთა სხვადასხვა ასაკებისთვის. ბავშვებს ორი შვიდწუთიანი ტაიმი უნდა ეთამაშათ. ერთი შეხედვით, მცირე დროა, სინამდვილეში კი ძალიან ბევრია, რადგან თამაშში არც შერკინებაა და არც დერეფანი და სუფთა სათამაშო დრო 10 წუთი გამოდის. ამდენი ხნის განმავლობაში სირბილს კი დიდებიც ვერ გაუძლებდნენ. თან ზოგიერთებს ნახევარსაათიან ინტერვალში ორი შეხვედრის ჩატარება უწევდათ. ისე იღლებოდნენ, ბურთის დანახვაც კი აღარ უნდოდათ.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ მერაბ ანთაძე და მისი გუნდი ქართული რაგბის ყველა ამ პრობლემას კავშირის ამჟამინდელ ხელმძღვანელობაზე უკეთ მოაგვარებს?**

— დიახ, მე ამის იმედი მაქვს. მერაბ ანთაძეზე რატომღაც მხოლოდ როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეზე საუბრობენ და არაფერს ამბობენ იმაზე, რომ მას საინტერესო სარაგბო ბიოგრაფია აქვს. ის წლების განმავლობაში თბილისის „ლოკომოტივის" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებშიც გამოდიოდა. ის დღესაც ყველაფრის საქმის კურსშია და საინტერესო, ყოვლისმომცველი პროგრამა აქვს შემუშავებული. რაც მთავარია, ამ პროგრამაში ჩანს ერთიანი სამომავლო სტრატეგია, რაც აუცილებელია ჩვენი რაგბის ჩიხიდან გამოსაყვანად.

**ირაკლი ფირაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# კოსტენიუკი აჭარულს იცეკვებს

## ბათუმი მსოფლიოს ქალთა ჩემპიონატს უმასპინძლებს

გადაწყვეტილი ამბავია, 21 მაისიდან 7 ივნისამდე ბათუმი ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს.

შეგახსენებთ, რომ ამ პირველობის გამართვა საკუთარ თავზე ჩვენმა ფედერაციამ გასული წლის 3 ნოემბერს, ფიდეს 74-ე კონგრესზე აიღო და თავიდან მისი ჩატარება თბილისში იყო დაგეგმილი. თუმც შემდეგ ჩვენთან პოლიტიკური ვითარება აირია და ჩემპიონატის გამართვის საკითხი საერთოდ საეჭვო გახდა. ამ დღეებში კი ყველაფერი მოგვარდა — პლანეტის 64 უჭკვიანეს ქალს ბათუმი უმასპინძლებს. მათ შორის იქნება შვიდი ჩვენებური მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი, ნინო ხურციძე, ლელა ჯავახიშვილი და ანა მათნაძე.



ზურაბ აზმაიფარაშვილი

ჩემპიონატის საპრიზო თანხა 670 ათასი დოლარი აჭარის ხელმძღვანელობამ გამონახა. დღეს კი ჩვენს ქვეყანას ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი ეწვევა. ჩავა ბათუმში და ყველა ფორმალობას მოაწესრიგებს.

— პრაქტიკულად ყველაფერი გადაწყვეტილია — განაცხადა ფიდეს ვიცე-პრეზიდენტმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა — ამ დღეებში კი ამას ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი ოფიციალურად ბათუმში გააფორმებს.

— საკმაოდ კი გაიწელა გადაწყვეტილების მიღება...

— არც ისე, ჩემპიონატის მასპინძლობის თაობაზე სამინისტრომ ოფიციალურად წერილი მოსწერა ჩვენს ფედერაციას, ჩვენებმა კი დახმარებისთვის შავი ზღვის საჭადრაკო ასოციაციას მიმართეს. მათი წყალობით ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდა. ეს ორგანიზაცია ბათუმშია დაფუძნებული და ხუთი წელია, ტურნირებსაც ატარებს.

— ესე იგი, მალე საქართველოში ევროპის ახალ ჩემპიონ ალექსანდრა კოსტენიუკსაც ვიხილავთ?

— რა თქმა უნდა, აქ საუკეთესო შემადგენლობა ჩამოვა.

**ლაშა გეგეჭკორი**

ჩოგბურთი

# ზედმეტი შაქარი ჩოგბურთსაც ვნებს

**ეშტორილის ღია პირველობა**
**თიხნარი**
**საპრიზო 520 ათასი $**

**პირველი წრე**

**ვიქტორ ჰანესკუ** (რუმინეთი) — რაინერ შუტლერი (1, გერმანია) 6:7 (4:7), 7:6 (7:4), 6:3; **ირჟი ვანეკი** (ჩეხეთი) — აგუსტინ კალიერი (3, არგენტინა) 7:6 (7:3), 3:6, 7:6 (7:3); **ტომი რობრედო** (4, ესპანეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:0 მალისმა შეწყვიტა; **ხუან იგნასიო ჩელა** (5, არგენტინა) — გილერმო კანიასი (არგენტინა) 6:3, 6:4; **მაქს მირნი** (6, ბელარუსი) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 7:6 (7:2), 6:3; **მარატ საფინი** (8, რუსეთი) — სირილ სოლნიე (საფრანგეთი) 5:7, 6:2, 6:2

რადეკ სტეპანეკის მიერ გაგდებულ შარშანდელ ჩემპიონ ნიკოლაი დავიდენკოს შარშანდელივე ფინალისტი აგუსტინ კალიერი და პირველ ნომრად განთესილი რაინერ შუტლერიც მიჰყვნენ. ერთმაც და მეორემაც მძიმე, სამსეტიანი და ორ-ორტაიბრეიკიანი ომები გადაიტანა, მაგრამ საბოლოოდ მაინც უსახელო მეტოქეებთან დათმობა მოუხდათ.

მეორე წრისკენ გაიკაკა რუსმა მარატ საფინმა, ვინაც წლეულს თავის პირველ სათიხნარო ტურნირზე გამოდის. აღსანიშნავია, რომ ფრანგ მეჩოგნეებთან ნათამაშებ ბოლო 16 შეხვედრაში მან უკვე მე-14 გამარჯვება მიითვალა. რაკილა მომდევნო წრეში ფრანგსავე ტიერი ასიონს ხვდება, ჩანს იქით წასვლაც არ უნდა გაუჭირდეს.

**II OPEN DE TENIS COMUNIDAD VALENCIANA**
**ვალენსია. თიხნარი**
**საპრიზო 395 ათასი $**

**პირველი წრე**

**ხუან კარლოს ფერერო** (1, ესპანეთი) — ისრაე ხილ მატოსი (ესპანეთი) 6:2, 7:5; **ფელისიანო ლოპესი** (2, ესპანეთი) — იგორ ანდრეევი (რუსეთი) 6:4, 6:2; **ალბერტ კოსტა** (4, ესპანეთი) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 6:3, 6:4; **ალბერტო მარტინი** (6, ესპანეთი) — ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) 6:2, 6:4

რადგანაც ტურნირზე ძირითადად ესპანური სამმოა შეკრებილი, შარშანდელ ჩემპიონსა და აწინდელ მთავარგანთესილ ხუან კარლოს ფერეროს ტიტულის დაცვა თითქმის გარანტირებული აქვს. პირველ წრეში მან თავის ახლო დოსტსა და ჩვენთვის კი სრულიად უცნობ ისრაე ხილ მატოსს აჯობა.

**აშშ-ის კაცთა თიხნარპირველობა**
**ჰიუსტონი.**
**საპრიზო 380 ათასი $**

**პირველი წრე**

**ენდი როდიკი** (1, აშშ) — კენეტ კარლსენი (დანია) 6:1, 7:5; **ალექს ბოგომოლოვი** (აშშ) — მერდი ფიში (2, აშშ) 6:3, 6:1

ტურნირის ორგზის ჩემპიონმა ენდი როდიკმა, ვინაც შარშანდელ ფინალში ანდრე აგასისთან დათმო, ზედიზედ მეცხრე და სულ კი 29-ე საამსეზონო გამარჯვება მოირეწა. ფერეროსი არ იყოს, რაიმე პრობლემები არც მას უნდა ელოდოს, რაკილა მასაც ძირითადად შინაური შემადგენლობა ახვევია.

**THE FAMILY CIRCLE CUP**
**ჩარლსტონი. თიხნარი**
**საპრიზო 1,3 მილიონი $**

**მეორე წრე**

**სერენა უილიამსი** (2, აშშ) — კელი მაკკეინი (აშშ) 6:1, 6:0; **ვინუს უილიამსი** (4, აშშ) — სამანტა რივზი (აშშ) 4:6, 6:4, 6:3; **ემი ფრეზერი** (აშშ) — მარტინა ნავრატილოვა (აშშ) 6:4, 6:4

სერენა უილიამსისა და ამქრის ჭინკა პირველოსან ჟუსტინ ენენ-არდენის შეხლას ვერც ჩარლსტონში ვიხილავთ. ამის მიზეზი, განსხვავებით ამელია აილენდისგან — სადაც სერენას ნადია პეტროვამ, ხოლო ჟუსტინს ამელი მორესმომ უყელა — არა რომელიმე უეცრად ახუმტურებელი მდედრი, არამედ ბელგიელის სისხლში შაქრის რაოდენობის შემცირება გამოდგა. ამის გამო ჟუსტინი თავბრუს შეუწუხებია და მანაც კორტიდან დროზე აკრეფა არჩია — ძალიან კი გული მწყდება, მაგრამ შინ უნდა დავბრუნდე, რათა ორგანიზმი აზრზე მოვიყვანოო.

ამასობაში იბუქნავეს შავდა უილიამსებმა და სერენამ თუ თავის წილი მეტოქე ციმციმ შემუსრა, ვინუსმა ერთი სეტი მაინც დათმო.

აქვე წარმოდგენილ ანგარიშებში კი ემი ფრეზერისგან მარტინა ნავრატილოვას ძლევის ამბავსაც ამოიკითხავთ. 46 წლის უდიადესი დედათმავალი საერთეულო კორტს თითქმის ათწლიანი უქმობის შემდეგ დაუბრუნდა, მაგრამ როგორც ამელია აილენდში, აქაც პირველსავე წრეში დამარცხდა.

**ლევან ძელაურაძე**



ჟუსტინ ენენ-არდენს ჯანმრთელობა ღალატობს

ჰოკეი

**პლეი ოფი. პირველი წრე**



„ბოსტონი“ „მონრეალთან“ 3:1 დაწინაურებას ხარობს

REUTERS

# წმინდანები უძახე!

## სან ხოსემ სენტ ლუისს ყინული ჩაუმტვრია

13 აპრილი

**დასავლეთი**

**სენტ ლუისი 1:3 სან ხოსე**

**სენ ლუისი 3:4 სან ხოსე**
*1:1 0:2 2:1*

0:1 ტორნტონი (7), 1:1 დანტონი (12), 1:2 ტორნტონი (24), 1:3 კოროლიუკი (31), 2:3 დემიტრა (41), 2:4 კოროლიუკი (52), 3:4 უეიტი (56)

დასავლეთის გუნდებიდან პირველმა „სან ხოსემ“ წაიწია შესამჩნევად პლეი ოფისკენ და დამსახურებულადაც. წინა მატჩში 1:4 მარცხის შემდეგ სულ სხვაგვარად გამოიყურებოდნენ სტუმრები. ისინი იმდენად შინაურულად გრძნობდნენ თავს ყინულზე, რომ მაყურებლები ლამის ორი პერიოდის განმავლობაში გარინდულნი უყურებდნენ თამაშს. მეორე მესამედში მათ ნამდვილი კარუსელი მოაწყვეს კრის ოსგუდის კართან და მხოლოდ ორი გოლი რომ გაიტანეს, ეს მეკარის დამსახურებაა. ბოლო მესამედშიღა შეძლეს „ბლუზმენებმა“ გამოფხიზლება, ინიციატივაც იგდეს ხელთ და მიზანთანაც თითქოს ახლოს იყვნენ, მაგრამ ორი წამყვანი მოთამაშის, კრის პრონგერისა და პავოლ დემიტრას ჯარიმებმა მათი ძალისხმევა წყალს გაატანა. პირველის ჯარიმა სანხოსელთაგან საუკეთესომ, ალექსანდრ კოროლიუკმა გამოიყენა, მეორემ კი მეორე პერიოდის მიწურულს შესცოდა და მასპინძლებს დრო არ ეყოთ, რომ თავი ეხსნათ.

**ნეშვილი 2:2 დეტროიტი**

**ნეშვილი 3:0 დეტროიტი**
*1:0 1:0 1:0*

1:0 სალივანი (11), 2:0 ორზაგი (35), 3:0 ჯონსონი (43)

„ნეშვილი“ ისე ღირსეულად ებრძვის რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულს, მოთამაშეებმა მაისურები რომ გაცვალონ, ვერც მიხვდება მაყურებელი. რომ არა პირველი ორი მატჩის უიღბლობა, ეგებ წინაც ყოფილიყვნენ „მტაცებლები“. თუმც ის, რომ სერიაში ანგარიში გათანაბრდა, უკვე სენსაციაა. თანაც ზედიზედ მეორე მატჩია, „ნეშვილი“ პირწმინდად უგებს მრისხანე მეტოქეს. „დეტროიტი“ მხოლოდ მესამე პერიოდში ილვიძებს, მაგრამ მასპინძელთა მეკარემ ტომაშ ვოკოუნმა კვლავ სასწაულები ჩაიდინა, რასაც ვერ ვიტყვით მის დეტროიტელ კოლეგა მენი ლეგასზე, რომელმაც 11 დარტყმიდან მხოლოდ 8 მოიგერია და საბოლოოდ კერტის ჯოზეფმა შეცვალა.

ახლა „დეტროიტს“ საკუთარი მოედნის იმედი აქვს, ჩემპიონატში ხომ „წითელფრთიანები“ შინ ყველაზე კარგად თამაშობდნენ.

**კალგარი 2:2 ვანკუვერი**

**კალგარი 4:0 ვანკუვერი**
*0:0 3:0 1:0*

1:0 იელი (21), 2:0 კლარკი (37), 3:0 დონოვანი (37), 4:0 იგინლა (59)

„ვანკუვერს“ მეტოქის მეკარე მიკა კიპრუსოფის წინაალმდეგ შემუშავებულმა საგანგებო ტაქტიკამაც ვერ უშველა. „კენაქსის“ ფორვარდები მთელი მატჩის განმავლობაში ეჯახებოდნენ და ეჯაჯგურებოდნენ ფინელ გოლკიპერს, მაგრამ ბუნებით მშვიდი ჩრდილოელი ერთხელაც ვერ გამოიყვანეს მოთმინებიდან. მეტიც, მეორე პერიოდში ერთბაშად ორი ვანკუვერელი დაისაჯა მეკარესთან უხეშობის გამო და სწორედ ამ ჯარიმების შემდეგ იგდო ხელთ „კალგარიმ“ ინიციატივა. ცოტა ხანში კრის კლარკმა და შონ დონოვანმა საბოლოოდ გატეხეს მეტოქე. კიპრუსოფმა კი კარიერაში პირველად შეასრულა შათაუტი.

**აღმოსავლეთი**

**მონრეალი 1:3 ბოსტონი**

**მონრეალი 3:4 ბოსტონი**
*2:1 1:1 0:1 0:0 0:1*

1:0 რიბეირო (5), 1:1 ნიულანდერი (17), 2:1 კოვალიოვი (20), 3:1 რიბეირო (22), 3:2 შლეგერი (32), 3:3 კნუბლი (60), 3:4 მიურეი (90)

ალექსეი კოვალიოვი ორი დღის განმავლობაში გმირიც გახდა და ანტიგმირადაც იქცა. სერიის მესამე მატჩში სწორედ რუსის ორი გოლით მოიგო „მონრეალმა“, მაგრამ ამჯერად მისი შეცდომის შემდეგ დაეუფლა შაიბას გლენ მიურეი, მეკარე ჟოზე თეოდორს დუელი მოუგო და „ბოსტონს“ ალბათ გადამწყვეტი მოგება მოუტანა. არადა, ამჯერადაც თითქოს ყველაფერი კანადური კლუბის სასარგებლოდ მიმდინარეობდა. მასპინძლები 3:1 იგებდნენ, თან ერთ-ერთი გოლი თავად კოვალიოვმა გაიტანა, მაგრამ მესამე პერიოდის ბოლო წამებზე „დათვებმა“ დააღწიეს მარცხს თავი.

**სამველ ღარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა




REUTERS ლონდონიდან

# ამათში საქმეზარი

ნიუ იორკის ბოლო მარათონის მომგები მარგარეტ ოკაიო (მარცხნივ) და ლონდონის მარათონის ორგზის გამარჯვებული ჯოის ჩეპჩუმბა ლონდონისავე ტაუერ-ბრიჯთან იღიმიან. კვირას ლონდონის წლევანდელი მარათონის გამარჯვებული სწორედ ამ ორ კენიელ გოგოს შორის უნდა ვეძებოთ.

# მომავალი

ევებ შემოდგომით ამერიკას ახალი პრეზიდენტი ჰყავდეს და მას ჯონ კერი ერქვას. საარჩევნო ამბავში ჯონ კერი ამერიკის სტუდენტთა ჰოკეის ოთხთა ფინალზე გამოჩნდა, დენვერისა და მეინის უნივერსიტეტთა გუნდებს შორის რომ უნდა გამართულიყო.



REUTERS ბოსტონიდან

# კაცი-ლეგენდა

არნოლდ პალმერი გოლფის ლეგენდაა, „ოგასტას მასტერსი“ ოთხჯერ მოუგია და ახლა ჯორჯიაში, [illegible] მასტერსის მაცქერალთაგან, ცხადია, ტაშს იმსახურებს. ხუმრობა კი არ არის, მხცოვანს 50 მასტერსში მიუღია მონაწილეობა.



REUTERS ოგასტადან

# გახსნის დღეები



REUTERS სან ხუანიდან

ბეისბოლის სეზონის გახსნა ამერიკის ნაირგვარ ქალაქებში ნაირგვარ ხალისით იციან. „ჩიკაგო“ იქაურ „სიგლი ფილდზე“ „პიტსბურგს“ მასპინძლობდა, პირველი ტყორცნა კი ხალისით გასწია მსახიობმა ბილი მიურეიმ. „მონრეალისა“ და „ნიუ იორკ მეტსის“ შეყრის ალაგი კი პუერტო რიკოს დედაქალაქი სან ხუანი ყოფილა. იქ „პირამ ბისორენის“ სტადიონზე ბომბებს ძაღლი კონანი და ოფიცერი მიოსოტის ორტისი ეძებდნენ. ბომბი არ იყო, მოსეირე კი ბევრი მივიდა.




REUTERS ჩიკაგოდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge